

წმ. კირილე ალექსანდრიელი

იოანეს სახარების განმარტება

ბერძნულიდან თარგმნა და სქოლიოები დაურთო
ელიშეა ჭელიძემ - შიგნითა და გარეთა სიყვარული
59267 დი

პირველი ნაკვეთი (1.1)

გამომცემლობა „საეკლესიო სიწმინდენი“

თბილისი

2003

წინამდებარე პირველი ნაკვეთით იწყება V ს-ის უდიდესი დოგმატიკოსის, წმ. კირილე ალექსანდრიელის მონუმენტური შრომის – „იოანეს სახარების განმარტების“ – ქართული თარგმანის პუბლიკაცია (ეს ფასდაუდებელი ნაშრომი ძველქართულად, სამწუხაროდ, თარგმნილი არ ყოფილა). მკითხველისთვის ცნობილია ამავე სახარების იოანე ოქროპირისეული განმარტება, რაც ანტიოქიის საღვთისმეტყველო სკოლის ეგზეგეტურ პრინციპებს ეყრდნობა და აქცენტირებულია ზნეობრივ სწავლებაზე, მაშინ როცა წმ. კირილე, როგორც ალექსანდრიული სკოლის გვირგვინი, ალეგორიულ ეგზეგეზას მიმართავს და, განჭვრეტს რა წმ. იოანე მახარებლის ნაშრომს როგორც ღრმად საღვთისმეტყველო, მისტიკური ცოდნის საგანძურს, მისივე თქმით, გეზს იღებს საკუთრივ დოგმატური განმარტებისკენ, რითაც იგი კეთილად მოინაყოფებს ბიბლიური ტექსტის დაფარულ საუნჯეებს.

აღვნიშნავთ, რომ თარგმანს, საჭიროებიდან გამომდინარე, თან ერთვის ტერმინოლოგიურ-საღვთისმეტყველო სქოლიოები, სადაც მითითებულია, აგრეთვე, ის უმთავრესი უზუსტობები, რაც რუსულ (ზოგჯერ კი ლათინურ) თარგმანში ვლინდება (ცხადია, შენიშნულია ღირსებანიც) (ბერძნულ-ლათინური ტექსტებისათვის იხ. *Patrologia Graeca*, t. 73; t. 74).

მთარგმნელი დიდი მადლიერებით მიიღებს და გაიზიარებს ყველა არგუმენტირებულ და კეთილგანზრახულ შენიშვნას.

© ედიშერ ჭელიძე

შესავალი

„უფალი მისცემს მეტყველებას იმათ, რომლებიც მახარობლობენ მრავალი ძალით“ (ფს. 67.12) – ფრიად კეთილად აღმოთქვამს მგალობელი, თუმცა კი ამგვარ საქმეს უნდა ესწრაფვოდნენ არა მარტივად ნებისმიერნი, არამედ – ისინი, რომლებიც განათლებულნი არიან ზეგარდმო მადლით, რადგან „ყოველი სიბრძნეც უფლისგანაა“, როგორც ეს დაწერილია, და „ყოველი კეთილი საბოძვარი და ყოველი სრული ძღვენი ზემოდან არის გადმომაგალი სინათლეთა მამისგან“ (იაკ. 1.17).

მართლაც, შემაცდენელი და საზიანო ჩანს მრავალთათვის მსჯელობა ყოველთა უზენაესი არსებისა და მისეულ საიდუმლოთა შესახებ, ხოლო საფრთხეთაგან თავისუფალია მღუმარება ამათ გამო. ჩვენც ასე ვსჯით, მივაგებთ რა მღუმარებას ჯეროვანზე ბევრად მეტ პატივს, მაგრამ ის, ვინც არის ყოველთა-ზედა-ღმერთი, განგვაყენებს დადუმებისგან, რაჟამს ასე მიმართავს წმინდანთაგანს ვისმე (პავლე არის ეს წმინდანი): „იმეტყველე და ნუ დადუმდები“ (საქ. 18.9). არანაკლებ ცხადია რჯულისმიერი განჩინებაც (განხშოებულ¹ სახეში სულიერთა მომასწავებელი), რაც უბრძანებს საღვთო მღვდლობისკენ მოწოდებულთ, საყვირთა ხმოვანებით ამცნონ ხალხს საუწყებელი, რამეთუ, ვფიქრობ, ღმერთი, – საუკეთესო სახით მოსურნე რჯულმდებლობისა, – უმართებულოდ რაცხდა ხალხთა წინამძღვრებისთვის, რომ მათ, წერილისებრ, ხელი დაედოთ პირზე (მდრ. მსჯ. 18.19; იობ. 39.34) და იმის შიშით, რომ არავის ეფიქრა, თითქოს წინდაუხედავად ეშურებოდნენ ისინი მას, რაც აღმატებულია ადამიანურ გონებაზე, განრიდებოდნენ იმგვარ მსჯელობას, აგრერიგად რომ

1. „განხშოებული“ – ე. ი. გახშირებული, გამკვრივებული, მატერიალური, ნივთიერი (ბერძნ. παχύς, παχύτερος; ლათ. crassus, crassiorus)

სჭირდებათ კეთილმოშიშებისა და ღვთისმცოდნეობის მსწავლელთ, ირჩევდნენ რა ღუმილს, საზიანოს სასწავლებლად მოსულთათვის. გვაშოთებს ისიც, რაც თქვა ქრისტეს მოწაფემ: „ნუ იქნებით მოძღვარნი მრავალნი“ (იაკ. 3.1). კიდევ, გარდა ამისა, უბრძნესი ეკლესიასტეც, იგავურად წარმოაჩენს რა ამგვართა შესახებ სწავლების შემაცდენლობას, ამბობს: „ხეთა მხეხელი საფრთხეს უქმნის თავის თავს მათგან, თუკი გადავარდება ცული; და თვით მან შეაშოთა პირი¹; და განაძლიერებს იგი ძალებს“ (ეკლესიასტ. 10.9).

ეკლესიასტე, ერთი მხრივ, „ცულს“ ამსგავსებს გონების სიმახვილეს, – გონებისას, რომელსაც ახასიათებს შეღწევალობა და უშიშანგანესთა შიგნით შემავალობა (თუმცა კი აბრკოლებს მას რაღაცნაირად ნივთიერების სიმკვრივე და გამაგრებულობა); კიდევ, მეორე მხრივ, „ხეებს“ უწოდებს იგი, უფრო სახეობრივად,² ღვთივსულიერ წერილში შთანერგილ საჭვრეტელთ³, რომლებიც გონისეულ რამ სამოთხედ განგვიმზადებენ იმ წიგნებს, რაშიც ისინი შთამკვიდრებულან, და, ამასთან, სულიწმინდის ნაყოფიერებასაც გვანიჭებენ. ამიტომ, ვინც შეეცდება ამ გონისეულ⁴ ხეთა ანუ ღვთივსულიერი წერილის საღვთო და საიდუმლო საჭვრეტელთა გახსნას ძიებისა და გონების უგულმოდგინესი მოკრება-გამახვილების გზით, ამგვარი ვინმე სწორედ მაშინ ღებება განსაკუთრებული საფრთხის წინაშე.

1. „პირი“, ე. ი. „პირისახე“ (ბერძნ. πρόσωπον, ლათ. *facies*, რუს. „лице“; მინის გამოცემაში რატომღაც მრავლობითია)

2. „უფრო სახეობრივად“ – შდრ. τροπικώτερον (ლათ. *figurate*)

3. „საჭვრეტელნი“ – შდრ. τὰ θεαρήματα აღნიშნული ბერძნული ტერმინი გულისხმობს, ერთი მხრივ, ჭვრეტის, ხედვის, აღქმის ობიექტს, ე. ი. განსაჭვრეტს, დასანახს, აღსაქმელს ანუ, რუსთველისებრ, „საჭვრეტელს“, ხოლო მეორე მხრივ – საკუთრივ ჭვრეტას, ხედვას, აღქმას. მოტანილ ადგილას უეჭველად საქმე გვაქვს ტერმინის პირველ მნიშვნელობასთან, რადგან მსჯელობა ეხება საღვთო წერილის სიმბოლოებს, სულიერ აზრებს ანუ, სახეობრივად, „ხეებს“, რომლებიც აღსაქმელნი, შესამეცნებელნი, განსაჭვრეტნი არიან. აქედან გამომდინარე დასაზუსტებელი გვეჩვენება ლათინური და, მის კვალობაზე, რუსული თარგმანები: *contemplationes* (უნდა იყოს: *spectacula*) და *созерцания* (უნდა იყოს: *зрелища*)

4. ტერმინი „გონისეული“, რაც ნიშნავს არამატერიალურს, სულიერს, ზეციურს და მისთ., აღნიშნულ ტექსტშიც (ისევე როგორც ჩვენს სხვა თარგმანებში) ყველგან გადმოსცემს ბერძნულ νοητός-ს (დაახლოებით იმავე შინაარსის νοερός ჩვენს მიერ ყველგან ითარგმნება როგორც „გონისმიერი“; იხ. ე. ჭელიძე, ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია, I, თბ. 1996, გვ. 427-452)

როდესაც, ეკლესიასტეს თქმით, „გადავარდება ცული“, ესე იგი როდესაც გონება არ წარემართება ნაწერთა ჭეშმარიტი აზრის ანუ მართებული აღქმის შესაბამისად და იგი, – თითქოსდა პირდაპირი გზის დამტოვებელი, – მჭვრეტელობის სხვა რამ გზისკენ წარიტაცება, რაც განდრეკილია მართალი გზისგან. ამის განმცდელი „მშოთვარებაში“ აგდებს „პირს“ სულისას¹, ესე იგი გულს და „განაძლიერებს“ კიდევ თავისი თავის წინააღმდეგ² უკეთურ და მოპირისპირე ძალებს, რომლებიც უღირსი და გაუკუღმართებული სიტყვებით ხიბლავენ შეცდენილთა გონებას, რადგან არ ანებებენ მას ზეალიხილოს ჭეშმარიტების მშვენიერებისკენ, ამრუდებენ რა მრავალგვარად და არწმუნებენ კიდევ, რომ უგვანი აზრებისაკენ მიიქცეს იგი, რამეთუ „ვერავინ იტყვის: ანათემა იესუს“, თუ არა ბეელზებულის მიერ (I კორ. 12.3).

ნუ იფიქრებს ვინმე, თითქოს ჩვენგან მოწოდებული განმარტება არასწორია და მხოლოდღა შემაცდენელი. მართლაც, საღვთო წერილს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სჩვევია, „ხეებად“ თქვას ღვთივსულიერ წერილთა საჭვრეტელნი. თვით ყოვლადბრძენი მოსეს მიერაც რაღაც ამგვარს ეუბნება ყოველთა-ზედა-ღმერთი იმუამინდელ ადამიანებს: „თუკი გარს შემოერტყმი ქალაქს მრავალი დღე, რომ ბრძოლა გაუმართო მას და დაიპყრო იგი, ნუ აკაფავ და ნუ დაადებ ცულს მის ხეებს, არამედ მათგან ჭამე, მაგრამ ისინი არ მოჭრა. ნუთუ ადამიანია ხე, რომელიც ტყეშია, რომ ციხე-სიმაგრეში გაგერიდოს შენ? არამედ ხე, რომლის ნაყოფიც, იცი, რომ საჭმლად ვარგისი არ არის, ის მოჩეხე და მოჭერი“ (II სჯ. 20.19-20).

ვფიქრობთ ყველასთვის ცხადია, რომ ზემორე ნათქვამი მიწიდან აღმოცენებულ ხეებს არ უნდა გულისხმობდეს, რადგან მაშინ არც

1. „პირი“ სულისა – სიტყვა „პირი“ (πρόσωπον) ამ ადგილას მინის გამოცემაში არ გვხვდება. სანაცვლოდ გვაქვს τὸ οἶκείον („საკუთარი“). ლათინურში აღნიშნული სიტყვა საერთოდ გამოტოვებულია და გვხვდება მხოლოდ მომღეწონ „სული“ (*anima*). რუსულ თარგმანში, რომელიც შესაძლოა ითვალისწინებდა აღნიშნული შრომის სხვა (კერძოდ Pusey-ის) გამოცემას (Oxford 1872), გვაქვს ეკლესიასტეს ზემოციტირებული მუხლის „лице“, რაც არის იგივე πρόσωπον ანუ „პირი“ და რაც, კონტექსტის მიხედვით, უეჭველად მართებული მონაცემია.

2. „თავისი თავის წინააღმდეგ“ – ბერძნ. καθ' ἑαυτοῦ, რაც ლათინურში და, მის კვალობაზე, რუსულში არაზუსტადაა გადატანილი (ლათ. *in seipsum*; რუს. в себе)

ყოველთა-ზედა-ღმერთი შერაცხდა გამართლებულად ამ სახის რჯულების მოცემას ჩვენთვის. ყოველ შემთხვევაში, მაინც საჭიროდ მიმაჩნია, სხვა მცნებისგანაც წარმოვაჩინო, რომ ღმერთი საერთოდ არ ზოგავს, არცთუ რაიმე ყურადღებას იჩენს ამგვართა (ხეთა) მიმართ. მართლაც, რას ბრძანებს იგი, რა უნდა აღსრულდეს ცრუ ღმერთებზე? „ბომონები მათი დაამხეთ, – ამბობს იგი, – და სვეტები მათი შემუსრეთ და სერტყები ~~მათი აჩვენეთ~~“ (II სჯ. 7.5); ამასთან, საკუთარი საკურთხეველის გვერდით მთლიანად კრძალავს ღმერთი ხეების მოშენებას, რადგან ნათლად აცხადებს: „არ დარგო შენთვის არანაირი სერტყი შენი უფალი ღმერთის საკურთხეველის გვერდით“ (II სჯ. 16.21). თუ კვლავაც საჭიროა დამატებით რაიმეს თქმა, უბრძნესი პავლესებრ ვიტყვი: „ნუთუ ხეები აწუხებს ღმერთს? უთუოდ ჩვენს გამო ამბობს იგი“ (შდრ. I კორ. 9.9), რადგან განხშოებულ სახეთა მიერ სულიერთა მჭვრეტელობისკენ წარგვმართავს ჩვენ. ამიტომ, იქნებ გვეთქვა კიდევ უკვე, რომ უღირს მწვალებელთა ნაწერებად უნდა გაიაზრობდეს „ქალაქები“, რომლებიც არცთუ უნატიფოდ არიან ალბათ კოშკებდადგმულნი ამქვეყნიური სიბრძნითა და მრავალთხზულ აზრთა ცთომილებებით. მაგრამ ხდება ისე, რომ ამ ქალაქებს მიაღვება და გარემოიცავს ანუ რაღაც სახით წრიულად გარს შემოერთყმის იმგვარი ვინმე, ვისაც უპყრია „ფარი სარწმუნოებისა და მახვილი სულისა, რაც არის სიტყვა ღვთისა“ (ეფეს. 6.16-17), ვინც დაფუძნებულია სამღვდელო დოგმატებზე და მთელი ძალით ეწინააღმდეგება მწვალებელთა ცრუზღაპრობებს, ვინც, პავლეს თქმისებრ, „იღწვის, რომ დაამხოს გულისზრახვები და ყოველი სიმაღლე, ამაღლებული ღვთის ცოდნის წინააღმდეგ, რაჟამს მოიაღაფებს იგი მათ ქრისტესადმი მორჩილებისთვის“ (II კორ. 10.4). ამრიგად, როდესაც ამგვარი ვინმე (ესე იგი მხედარი ქრისტესი), როგორც ამბობს ეკლესიასტე, გონებით გარემოიცავს² მწვალე-

1. „სერტყი“ – τὸ ἄλσος (ე. წ. წმინდა ტყე ან, ზოგადად, ტყე). ეს შესატყვისობა ტერმინოლოგიურია საღვთო წერილის ბერძნულ-ქართული ტექსტების მიხედვით (იხ. იერემ. 3.6; 4.29; მიქეა 3.12; ეზეკ. 27.6 და ა. შ.). „სერტყის“ შესახებ იხ. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ. 1976, გვ. 387.

2. „გონებით გარემოიცავს“ – შდრ. περιποιήσῃ. ბერძნული ტერმინის წინდებული περι, რაც ნიშნავს: „ირგვლივ, გარშემო“, ცხადია მიანიშნებს „გარემოცვაზე, გარს შემორტყმაზე“, ხოლო νοῦς („გონითი გააზრება“, „გულისხმისყოფა“) იმას უსვამს ხაზს, რომ ეს გარემოცვა აზრისმიერად, გონებითად ხდება. ამიტომ არის აუცილებლობა აღნიშნული ტერმინის ორსიტყველად თარგმნისა (შდრ. ლათ. mente complexus fuerit). შესაბამისად, არადაამკმაყოფილებელია რუსული окружает.

ბლობათა საძაგელ ნაწერებს, ვითარცა უცხოტომთა რამ „ქალაქებს“¹, და აღგილ-აღგილ შეხვდება იქ „ხეებს“, რაც ნიშნავს, რომ იპოვის მათში, ცხადია, სიტყვებს ღვთივსულიერი წერილიდან ან წინასწარმეტყველთა გამონათქვამებს, მწვალებლური მიზანდასახულობისამებრ მოხმობილთ, და ასევე დამოწმებებს ახალი აღთქმიდან, არ უნდა მიმართოს მან თავისი გონების სიმახვილე, როგორც რამ „ცული“, ამ სიტყვათა ამოსაკაფად და „მოსატრელად“. მართლაც, არ შეიძლება, რომ რადგან ეს სიტყვები იმათგან იქნა მოხმობილი, რომლებიც უმეცარნი არიან მართებული განმარტებისა, ამ მიზეზით საერთოდ უკუვაგდოთ ის, რაც ღვთის პირისგანაა. პირიქით, რადგან ნაყოფიერება მოაქვს მას, უმაღლ შემწედ და მასაზრდოებლად უნდა იყოს იგი შენთვის, რამეთუ რაჟამს სარწმუნოების მართალი აზრისკენ უკუმივაქცევთ წერილის სიტყვას, რაც ზოგჯერ უგუნურად მოიხმობა მწვალებელთაგან, არათუ რაიმეთი მოუძღვრებულნი წარმოვჩნდებით ამის გამო, არამედ უმაღლ ვძლიერდებით მწვალებლობათა წინააღმდეგ პაექრობებში. წერილს მოაქვს კიდევ ის მტკიცებულება,² რაც გარკვეული სახით აჯერებს მსმენელებს, რომ მათი დამცველობითი მოღვაწეობა³ უნდა წარიმართოს არა საღვთო სიტყვათა დამხობისაკენ, არამედ უმაღლ მოწინააღმდეგეთა უმართებულო გამონათქვამების აღმოსაფხვრელად: „ნუთუ, – ამბობს, – ადამიანია ხე, ტყეში მდგარი, რომ ციხე-სიმაგრეში გაგერიდოს შენ?“ (II სჯ. 20.19; იხ. ზემოთ), რამეთუ განა, – ამბობს – იმას იფიქრებ ოდესმე, როგორც ვინმე ერესიარქთაგანი, რომ წმინდა წერილთაგან მოტანილი გამონათქვამი თავისთავადაა მიმართული ბრძოლისაკენ, და არა უმაღლ მწვალებელთა უგუნურების მიზეზით არის იგი გამრუდებული? ამრიგად, ნუ მოჭრიო, ამბობს, არამედ იყოს იგი საზრდოც შენთვის, „ხოლო ხე, რომლის ნაყოფიც, იცი, რომ საჭმლად ვარგისი არ არის, ის მოჩეხე და მოჭერი“ (II სჯ. 20.20; იხ. ზემოთ), რადგან

1. ეს სიტყვა, ტექსტის სინაკლულის გამო, მინის გამოცემაში არ გვხვდება (დასმულია მრავალწერტილი). რუსულ თარგმანში აღნიშნული ნაკლულევანება შევსებულია სიტყვით „земля“, თუმცა გაცილებით მართებულია ლათინური urbes („ქალაქები“), რადგან ზემოთ მწვალებელთა ნაწერები სწორედ „ქალაქებადაა“ წოდებული.

2. სიტყვ. „აზრი“, „განსჯა“, „დანასკვი“ (λογισμός).

3. „დამცველობითი მოღვაწეობა“ (სიტყვ. „დაცვის სწრაფვანი“) – იგულისხმება მართლმადიდებლური მოძღვრების დაცვა მწვალებელთაგან.

იმათთვის, რომლებსაც სურთ მართლმადიდებლობა¹, საჭმლად უვარგისია მწვანეებელთა ნაწერების ნაყოფი. სწორედ მათ წინააღმდეგ უნდა აღიმართოს ცული, იქ უნდა გამოჩნდეს სულიერ ტყისმკაფათა ძალა, მათზე უნდა გაიელვოს დამცველობითი ძალგულოვნების ნაჯახმა.

სხვაგვარმადიდებელთა ნაყბედობის უვარგისობა და უსარგებლობა საუკეთესოდ განგვიმარტა, აგრეთვე, ოსე წინასწარმეტყველმაც, რომელმაც თქვა: „თავთავს არა აქვს ძალა, რომ ფქვილი შექმნას, მაგრამ კიდევ რომ შექმნას, უცხონი შეჭამენ“ (ოსე 8.7). მართლაც, ისინი, რომლებიც ცდილობენ, რომ ღვთის სიყვარულისგან გაიუცხოვონ თავი, მწვანეებელთა განუსწავლევლობის დედაბრულ და უძლურ მოძღვრებას ნთქავენ.

ამრიგად, ვფიქრობ, გვმართებს კვლავ მივუბრუნდეთ იმას, რასაც თავში ვამბობდით, რომ მეტად ძნელია საღვთო საიდუმლოთა განმარტება, თუმცა რადგანაც მრავალი სიტყვით დაგვარწმუნე ჩვენ,² პოი უტკივილთმოყვარესო ძმაო, რომ მსხვერპლად გავიღოთ ეს ნაშრომი როგორც რამ ბაგეთა ნაყოფი და შესაწირავი, არც ამის ქმნას დავაყოვნებ, მივენდობი რა ბრძანება ბრძენმოყვრულ ღმერთს, რომელიც არანაირად არ ეძიებს ჩვენგან რაიმეს ჩვენზე აღმატებულს, პირიქით მდიდრებისებრ³ შეიწყნარებს ღარიბთა ძღვენსაც, რადგან მაშინაც კი, როდესაც იგი, როგორც რჯულმდებელი, ხართა შეწირვას უბრძანებს მას, ვისაც სურს, რომ ძღვენი მიართვას უფალს ყოვლადდასაწველ მსხვერპლად (როგორც ეს გვხვდება „ლევიტელთა“ წიგნის თავში), ესე იგი მაშინ, როდესაც იგი საზომს გან-

1. „სურთ მართლმადიდებლობა“ – შდრ. ბერძნ. τοῖς ὁρθῶς ἐθέλουσι νοεῖν (თითქმის ასევეა ლათინურშიც: „apud recte sentientes). რუსული მცდარი: „для желающих мыслить, право, несъедобен...“.

2. „მრავალი სიტყვით დაგვარწმუნე ჩვენ“ – რუსულში სანაცვლოდ გვაქვს: „многие основания побуждают“, თუმცა ბერძნულის მიხედვით სრულიად აშკარაა, რომ იოანეს სახარების განმარტებისკენ წმ. კირილე წარმართა არა მრავალმა მიზეზმა, არამედ სწორედ იმ „უტკივილთმოყვარესმა ძმამ“, რომელიც აღნიშნული ნაშრომის ადრესატია (შდრ. πολλοῖς ἀναπειθεῖς λόγους...; შდრ. ლათ.: multis rationibus adigas...).

3. „მდიდრებისებრ“ – ბერძნულშია ὡς ἐκεῖνα („როგორც ისინი“), თუმცა ტექსტიდან არ ჩანს, თუ რას მიემართება სიტყვა ἐκεῖνα. აშკარაა, რომ ტექსტი გამრუდებულია. რუსულ თარგმანში იგი შეცვლილია სიტყვით жертва („как жертву“), მაგრამ გაცილებით მისაღებია ლათინური ტექსტი: „ღარიბების და მდიდრების შესაწირავებს თანაბრად შეიწყნარებს“.

საზღვრავს სახეობრივი პატივისას,¹ ამავე დროს იქვე ამსუბუქებს კიდევ მას, ამბობს რა, რომ ცხვრების შეწირვა ხამს მათთვის, რომლებიც მეტის შემძლენი არ არიან. ამასთან, უთუოდ იმის მცოდნეცაა იგი, რომ მწარე და უნუგეშო სიღარიბე არც აგრერიგად მცირედის შესაძლებლობას აძლევს მავანთ. ამიტომაც ამბობს: „და შეწიროს მან გვრიტებისგან ანდა მტრედებისგან თავისი ძღვენი“ (ლევ. 1.14). ამათ გარდა, პატივს მიაგებს იგი უფრო უბადრუკებსაც, რომლებიც კიდევ უფრო უმნიშვნელო ძღვენით მოდიან, რადგან ასე ამბობს: „გამტკიცული ფქვილი იყოს მათი შესაწირავი“ (ლევ. 2.1); ამით, ვფიქრობ, უკვე უთუოდ ყველასთვის ადვილმოსაპოვებელ მისატანს განაწესებს იგი, რაც თვით უკიდურეს სიღარიბესაც კი არ დააწვებოდა დიდ ტვირთად, რადგან უეჭველად ზედმიწევნით უწყობდა რჯულმდებელმა, რომ უმჯობესი იყო და უკეთესი თუნდაც მცირედით მაინც ნაყოფშემწირველობა, ვიდრე ამისგან სრულიად დაკლებულობა, რომ სხვებზე ნაკლებ შემძლედ წარმოჩენის სირცხვილს არ მიეყვანა ვინმე იმგვარ აზრამდე, თითქოს არ იყო საჭირო პატივის მიგება ყოველთა მეუფისადმი.

ამათ ყოველთაგან საფუძვლიანად დაჯერებული და მერყეობის, როგორც ღუმილის დამცველის,² ჩემი გონებიდან უკუმგდებელი საჭიროდ ჩავთვლი, რითაც შემეძლება,³ პატივი მივაგო ჩემს მეუფეს და შევწირო მას (როგორც რამ „გამტკიცული ფქვილი“, ზეთით

1. „სახეობრივი პატივისას“ – τῆς ἐν τῷ πατρί. იგულისხმება ძველი აღთქმის მსხვერპლშეწირვა.

2. იგულისხმება, რომ მერყეობა და შიში აღმატებული საქმის წინაშე (აქ: წმ. იოანეს სახარების განმარტებასთან დაკავშირებით) დადუმებისკენ უბიძგებს წმ. კირილეს, ანუ აღნიშნული მერყეობა გვევლინება, სახეობრივად რომ ვთქვათ, „ღუმილის დამცველი“. ტერმინი „დამცველი“ მოხმობილი გვაქვს იურიდიული მნიშვნელობით, რადგან ბერძნულშია παρονομασία, რაც სწორედ ადვოკატს, ვეჭილს ანუ სასამართლო დამცველს ნიშნავს. აღნიშნულის გამო რუსული თარგმანის покровительница ტერმინოლოგიურად ზუსტი არ არის (უნდა ყოფილიყო защитница). უზუსტობა, ვფიქრობ, გამოწვეულია ლათინური თარგმანის მცდარი გაგებით, სადაც გვხვდება patronus. ეს ტერმინი, ერთი მნიშვნელობით, აღნიშნავს ადვოკატს, ვეჭილს (ამ აზრითაა გამოყენებული იგი ლათინურად მთარგმნელის მიერ), მეორე მნიშვნელობით კი – ზოგადად მფარველს, შუამდგომელს, პატრონს (რა აზრითაც გაიგო იგი რუსმა მთარგმნელმა).

3. „რითაც შემიძლება“ – შდრ. ὡς ἔχω. ზნა ἔχω, რაც „ქონა, ყოლას“ ნიშნავს, ამავე დროს გამოიყენება „შეძლების“ (შემიძლია) მნიშვნელობით. სწორედ ეს გაგება აქ მას ზემოთ კონტექსტში (შდრ. ლათ. potero), მაშინ როცა რუსულ თარგმანში პირველი მნიშვნელობითაა იგი აღქმული: тем, что есть у меня.

დაცვარული) მკითხველთა მასაზრდოებელი და გამახარებელი სიტყვა.

დავიწყებთ კი იოანეს ნაწერით. ცხადია, მეტად დიდ საქმეს შევეჭიდებით ამით, მაგრამ არ მოვუძღვრდებით რწმენის გამო; ამასთან უეჭველად უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ უთუოდ შესაფერისზე ნაკლები იქნება ჩვენს მიერ თქმული და შემეცნებული, თუმცა თვით იოანეს ნაწერის დიდი სირთულე, ან კიდევ, რაც უფრო ჭეშმარიტია, ჩვენში მყოფი გონების უძღვრება, ვფიქრობ, სარწმუნოს გახდის, რომ ნაკლოვანებათა გამო შენდობის თხოვნაც სამართლიანი იქნება ჩვენი მხრიდან. ვიტყვით იმასაც, რომ ჩვენს სიტყვას ყველგან წარუმატებლად უფრო დოგმატური განმარტებისკენ და ძალისამებრ შევებრძოლებით სხვაგვარად დამოძღვრებულთა ცრუ აზრებს, თუმცა არათუ იმ ზომამდე განვაზრცობთ მსჯელობას, რა ზომითაც საჭიროა ეს, არამედ განვიშორებთ რა სიჭარბეებს, შევეცდებით ჩამოვაყალიბოთ მარტოოდენ ის, რაც მართებულობას მოკლებული არ იქნება. ამასთან, ქვემოწარმოდგენილი მითითებები თავებზე ცხადს გახდის იმ საკითხებს, რომელთა გამოც გარკვეულწილად ვრცელი მსჯელობა გვაქვს შემდეგ. მათ ვურთავთ ციფრებსაც, რათა მკითხველმა ძალიან ადვილად იპოვოს ის, რასაც ეძიებს:

პირველი წიგნის თავები

1. რომ მარადიულია და საუკუნეთა უწინარესი მხოლოდშობილი, შემდეგი ნათქვამიდან გამომდინარე: „დასაბამში იყო სიტყვა“.

2. რომ ძე არის ღმერთი, თანაარსი მამისა, რომელიც ჰგიეს თავის ჰიპოსტასში, ისევე როგორც – მამაც, შემდეგი ნათქვამიდან გამომდინარე: „და სიტყვა იყო ღმერთთან“.

3. რომ ძე არის ბუნებით ღმერთი და არანაირი სახით ნაკლები ან არამსგავსი მამისა, შემდეგი ნათქვამიდან გამომდინარე: „და ღმერთი იყო სიტყვა“.

4. მათ მიმართ, რომლებიც ბედავენ თქმას, რომ სხვა არის მამაში მყოფი შინაგანმდებარე და ბუნებითი სიტყვა და სხვა – საღვთო წერილთა მიერ თქმული ძე (ეგნომიანელთა ბოროტმადიდებლობაა ეს). ამ მხრივ განსახილველია შემდეგი ნათქვამი: „ეს იყო დასაბამში ღმერთთან“.

5. რომ ბუნებით შემოქმედია ძე მამასთან ერთად, როგორც მისი არსებისგან მყოფი და არა მსახურად მიღებული, შემდეგი ნათქვამიდან გამომდინარე: „ყოველივე მის მიერ შეიქმნა“.

6. რომ ბუნებით ცხოვრებაა ძე და ამის გამო არ არის იგი დაბადებული, არამედ – ღვთისა და მამის არსებისგან, შემდეგი ნათქვამიდან გამომდინარე: „რაც შეიქმნა, მასში იყო ცხოვრება“.

7. რომ ბუნებით სინათლეა ძე და ამის გამო არ არის იგი დაბადებული, არამედ – ღვთისა და მამის არსებისგან, როგორც ჭეშმარიტი სინათლე ჭეშმარიტი სინათლისგან, შემდეგი ნათქვამიდან გამომდინარე: „და ცხოვრება იგი იყო ადამიანთა სინათლე“.

8. რომ მხოლოდ ძე ღვთისა არის ჭეშმარიტი სინათლე, ხოლო ქმნილება – არანაირად (რადგან ქმნილება მხოლოდ წილმქონეა სინათლისა როგორც დაბადებული), შემდეგი ნათქვამიდან გამომდინარე: „იყო სინათლე ჭეშმარიტი“.

9. რომ ადამიანის სული არ არსებობს სხეულზე უწინარეს, არცთუ ადრეულ ცოდვათა გამო ხდება მისი განსხეულება (როგორც ამას მავანნი ფიქრობენ), შემდეგი ნათქვამიდან გამომდინარე: „იყო სინათლე ჭეშმარიტი, რაც ანათებს ყველ ადამიანს, მომავალს ზოფლად. სოფელში იყო“.

10. რომ მხოლოდ მამისაგან ბუნებით მყოფი ძე არის მხოლოდშობილი, როგორც მისგან და მასში არსებული, შემდეგი ნათქვამიდან გამომდინარე: „ღმერთი არავის უხილავს არასოდეს“.

სიტყვა I

[წინათქმა]

ჭეშმარიტად ზედმიწევნითა და ღვთივგანსწავლული წმინდა მახარებელთა გონება, რომელსაც აქვს აღმატებულება ჭვრეტის შემძლეობაში¹ და ამ აღმატებულებიდან, როგორც რამ ამაღლებული და სამეთვალყურეო ადგილიდან, ყოველმხრივ განჭვრეტს მას, რაც სასარგებლოა მსმენელთათვის, რაჟამს ძალუმი რამ გულმოდგინებით მოინადირებს ყოველივეს, რაც კი არგებს მათ, რომლებიც მოწყურებულნი არიან საღვთო დოგმატთა შესახებ ჭეშმარიტ სწავლებას და რომლებიც კეთილი არჩევანის კვალობაზე გამოიკვლევენ საღვთო ნაწერებში დაფარულ აზრს. მართლაც, არათუ ზერელე თვალით გამომეძიებელთა ანდა განსჯათა მრავალწნული ცთომილებებით დამტკბართ ანიჭებს გამოცხადებას სულიწმინდა, არამედ უმაღლ იმათ, რომლებიც ხარობენ ჭეშმარიტებით, რადგან იგი არც ბოროტხელოვან² სულში შედის (სიბრძნ. 1.4) და არც ნებართვას იძლევა იმისას, რომ ღორების ფეხებთან დაიყაროს პატიოსანი მარგალიტები (მათე 7.6), თუმცა კი, მეორე მხრივ, იგივე სულიწმინდა მეტისმეტი საამურობით უკავშირდება უმარტივეს გონებებს,³ რომ-

1. „აღმატებულება ჭვრეტის შემძლეობაში“ – შდრ. ბერძნ. τῆς ἐν δύνασθαι θεωρεῖν μεγαλειότητος. რუსული სრულიად მცდარია: великолепного зрелища (მცდარია ლათინურიც, რასაც ეყრდნობა რუსული: magnificae contemplationis).

2. „ბოროტხელოვანი“ – κακότηχης (შდრ. რუს. злохудожный). ე. ი. მზაკვარი, დახელოვნებული ბოროტებაში.

3. „გონებებს“ – ბერძნ. διανοίαις (შდრ. ლათ. mentibus). რუსულში რატომღაც გვაქვს душами.

ლებსაც უმზაკვრო აღძრულობა აქვთ და, ამასთან, განეშორებიან ზედმეტად ბრძნობას, რადგან ამგვარ ბრძნობას უთუოდ მოსდევს როგორც ცნობიერების დაბინდვა,¹ ასევე მარჯვნივ მავალი პირდაპირი და სამეუფო გზისგან მკვეთრი განდრეკა. მართლაც, სოლომონის თქმისებრ, „დარწმუნებით მიაბიჯებს ის, ვინც მარტივად მიაბიჯებს“ (იგავ. 10.9).

დიახ, მეტად საკვირველი ზედმიწევნითობა აქვთ წერისა წმინდა მახარებლებს, რადგან, მაცხოვრის თქმისებრ, „არათუ ისინი მეტყველებენ, არამედ მათში მყოფი სული მამისა“ (მათე 10.20). ამასთან, ნამდვილად მართებულად შეიძლება ეფიქრა ვინმეს, რომ საკუთრივ იოანეს ნაწერი საკვირველებაზეც აღმატებულია, როგორც ამას წარმოაჩენს მისეულ მჭვრეტელობათა სიმაღლე, გონების სიმახვილე და აზრთა მჭიდრო და ურთიერთშეკავშირებული მიმდევრობა.

მართლაც, ერთი მხრივ, ურთიერთისადმი თანამსრბოლნი არიან მახარებელნი, როდესაც საქმე ეხება საღვთო დოგმატთა განმარტებას, რაჟამს ისინი, თითქოსდა ერთი ნიშნულიდან² წინ გაჭრილები, ცხენებისებრ ერთი მიზნისკენ მიისწრაფიან, მაგრამ, მეორე მხრივ, როგორღაც სხვადასხვაგვარად მოიქსოვება მათგან სახე სიტყვისა³, და მე მგონია, რომ ემსგავსებიან ისინი იმათ, რომლებსაც თუმცა მიეცათ ბრძანება ერთ ქალაქში თანაშეკრებისა, მაგრამ ეს არანაირად არ ნიშნავდა⁴ ყველა მათგანის ერთსა და იმავე შარავზაზე სვლას.

შესაძლებელია იმის შემჩნევა, რომ სხვა მახარებლები რაღაც უფრო მეტი ზედმიწევნითობით გვაუწყებენ ჩვენი მაცხოვრის ხორციელი წარმომავლობის შესახებ, როდესაც მათ აბრაამიდან იოსე-

1. „ცნობიერების დაბინდვა“ – ბერძნ. ἐκπλήττεσθαι, რაც ნიშნავს თავზარდაცემას, გაცუზნებას, ცნობიერების და განსჯის უნარის დაკარგვას (შდრ. ეკლ. 7.17).

2. „ნიშნული“ (ბერძნ. νόσση) – იგულისხმება ასპარეზობის საწყისი წერტილი, სადაც არის საგანგებო ნიშნული (ვთქვათ, ბოძი).

3. „მოიქსოვება... სახე სიტყვისა“ – შდრ. ἐξυφαίνεται τοῦ λόγου τὸ σχῆμα (შდრ. ლათ. habitus orationis textitur). რუსულში „მოქსოვის“ ნაცვლად გვაქვს: слагается.

4. „არანაირად არ ნიშნავდა“ – ბერძნ. οὐ πάντως συμβόκοιν (შდრ. ლათ. non utique visum est). აღნიშნული ადგილი მცდარადაა გაგებული რუსულ თარგმანში, სადაც ის აზრია გამოკვეთილი, რომ თითქოს ერთი გზით სვლაზე ვერ შეთანხმდნენ თვით ის პირები, რომლებიც ქალაქში უნდა შეეკრებილიყვნენ (შდრ.: они не согласились идти...).

ბამდე ჩამოჰყავთ ან კიდევ, პირიქით, იოსებიდან ადამამდე აჰყავთ იგი, ნეტარი იოანე კი, რომელიც არცთუ ძალიან დიდ გულმოდგინებას იჩენს ამ მხრივ, გონების უმხურვალესი რამ და ცეცხლოვანი აღძრულობით განმსჭვალული იმას ესწრაფვის, რომ ადამიანურ გონებაზე აღმატებულ მოვლენებს მისწვდეს და შეჰხედოს ღმერთ-სიტყვის დაფარული და გამოუთქმელი შობის განმარტებას, რადგან თუმცა, ერთი მხრივ, უწყობდა მან, რომ „დიდება უფლისა ფარავს სიტყვას“¹ (იგავ. 25.2) და რომ ყველა ჩვენეულ აზრსა და გამოთქმაზე უდიდესია ღვთისთვის შესაფერისი ღირსება, ისევე როგორც ძნელად გამოსათქმელია და გასაცხადებლად ურთულესი მისი ბუნების თვისებები, მაინც, მეორე მხრივ, რადგან აუცილებელი იყო, რომ რაღაც სახით მტკავლით გაეზომა მას ცა და ადამიანური ბუნების მცირე საზომები მიემართა იმისკენ, რაც ყველასთვის ძნელად საწვდომია და ძნელად გამოსათქმელი, რათა სხვაგვარად დამმოდვრელთა სარბიელი არ გავრცობილიყო უფრო მარტივთა წინააღმდეგ (რამეს მათი ბოროტი აზრების შემაფერხებლად არ იარსებებდა არანაირი სწავლება იმ წმინდანებისა, რომლებიც სიტყვის თვითმხილველები და მსახურები გახდნენ), ამ მიზეზით საღვთო დოგმატთაგან სწორედ უმთავრესს მიეახლა იგი მგზნებარედ და ასე აღმოთქვა:

„დასაბამში იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა. ეს იყო დასაბამში ღმერთთან“ (იოანე 1.1-2).

ვფიქრობთ, საჭიროა, რომ იმათ, რომლებიც საღვთო ნაწერებს ეზრახებიან, ყველასგან შეიწყნარონ იმგვარი სიტყვები, რაც კი კარგი და კეთილი იქნება და რაც არანაირ ზიანს არ მოიტანს, რადგან მრავალთაგან ნაირგვარად განჭვრეტილნი, და ერთ აზრამდე თანა-

1. ბერძნულ ტექსტში და ლათინურ თარგმანში „სიტყვა“ წარმოდგენილია მთავრული ასოთი (Λόγος, Verbum), რაც მას ღმერთ-სიტყვის, ძე ღმერთის მნიშვნელობას აძლევს. რუსულში მთავრული ასო არ გვხვდება (слово), რაც ცხადყოფს, რომ მთარგმნელი აქ ძე ღმერთს არ გულისხმობს. ამ შემთხვევაში უთუოდ რუსული ტექსტია მართებული, რადგან „იგავთა“ შემოღამოწმებული მუხლი მხოლოდ იმ წინაარსს შეიცავს, რომ საუფლო დიდება აღემატება ყოველგვარ გამოთქმას ანუ ამ დიდების წინაშე უქმდება, უჩინარდება („იფარება“) ყოველგვარი სიტყვა. საგულისხმოა, რომ აღნიშნული მუხლის ციტირება სხვაგანაც გვაქვს კირილეს წინამდებარე შრომაში, მაგრამ მთავრული ასო უკვე აღარ გვხვდება არც ბერძნულში, არც ლათინურში (იხ. Pg. 73,85 C; 281 C). მეტიც, ერთგან ლათინურში შესატყვისად გვაქვს არა verbum, არამედ sermo (85 C), რაც მხოლოდ „საუბარს“, „მეტყველებას“ ნიშნავს და იგი ღმერთ-სიტყვის აღმნიშვნელად არასოდეს გამოიყენებოდა.

მსრბოლნი, ცოდნის კარგ საზომამდე აღიწევინ (შდრ. ეფეს. 4.13) და გამრჯე და ბრძენ ფუტკარს მიმსგავსებულნი სულის¹ ტკბილ ფიჭებს შეამტკიცებენ.

შრომისმოყვარეთაგან ზოგნი ამბობენ, რომ ჩვენი მაცხოვრის ჯვარცმისა² და ცად აღსვლის შემდეგ ვილაც ცრუმწყემსები და ცრუმოდვრები ველური მხეცების მსგავსად თავს დაესხნენ მაცხოვრის სამწყსოს და არამცირედ შეაშფოთეს ისინი, მეტყველებდნენ რა, როგორც დაწერილია, თავისი გულიდან და არა მაცხოვრის პირიდან (იერ. 23.16), უფრო კი, არა მხოლოდ თავისი გულიდან, არამედ მათი მამის, ცხადია ეშმაკის, ნასწავლებიდან გამომდინარე. მართლაც, როგორ არ წარმოჩნდება ჭეშმარიტებად ჩვენთვის ის, რაც მათ შესახებ ითქვა: „არავის ძალუძს თქვას: ანათემა იესოს“, თუ არა ბეელზებულის მიერ (I კორ. 12.3)?

მაინც რა არის ყოველივე ის, რაც მათ თავისი თავის წინააღმდეგ აღმოიბოყინეს, რომლებიც უმეცრულად და ურჯულოდ ამტკიცებენ, რომ ღვთის მხოლოდშობილი სიტყვა და მარადიული სინათლე, რომელშიც ყველანი ვმოდრებით კიდევ და ვმყოფობთ (საქმე 17.28), იმ ჟამს იქნა არსებობისკენ პირველად ხმობილი, როდესაც იშვა კიდევ იგი კაცად წმინდა ქალწულისგან, მიიღო რა მან ჩვენი ეს საერთო სახე და გამოჩნდა რა მიწაზე, როგორც დაწერილია: „შეერთო იგი ადამიანებს“ (ბარუქი 3.38)?

იმათ, რომლებიც ამგვარად არიან განწყობილნი და ბედავენ, რომ ცილი დასწამონ ძის გამოუთქმელ და წინასაუკუნო შობას, საწინასწარმეტყველო სიტყვა შემდეგნაირად კიცხავს: „ხოლო თქვენ ასე შემოადგებით მას, ძენო ურჯულონო, თესლო მეძვთა და მრუშთაო. ვისდამი განიშვებთ და ვისზე აღაღებთ თქვენს პირს და ვისზე მიუშვებთ თქვენს ენას?“ (ეს. 57.3-4). ესაა ენა, რომელიც, ცხადია, არა კეთილი გულიდან აღმოთქვამს კეთილთ, არამედ ოდენ სისხლიანი ვეშაპის გესლს ამოანთხევს, რომლის შესახებაც ასე ამბობს მგალობელი ერთი და ყოველთა-ზედა-ღმერთის მიმართ: „შენ შემუსრე თავები ვეშაპისა“ (ფს. 73.14).

1. ბერძნულ-ლათინურში „სულის“ შესატყვისი ტერმინები მთავრული ასოთი არ არის გამოყოფილი, რაც აღნიშნულ „სულს“ ზოგადი მნიშვნელობის სიტყვად მიგვაჩვენებს, მაშინ როცა რუსულ თარგმანში გვაქვს Дух (მთავრული ასოთი), რაც მას საკუთრივ სულიწმინდის გააზრებას ანიჭებს.

2. ლათინურ-ბერძნულში არის მხოლოდ „ჯვარი“, რაც, ცხადია, ჯვარცმას გულისხმობს. ამდენად, გამართლებულია რუსული თარგმანის распятие.

თავი პირველი

რომ მარადიულია და საუკუნეთა უწინარესი მხოლოდშობილი

იმის გამო, რომ ამათ შესახებ არამცირედი მშფოთვარება იყო მორწმუნეთა შორის და რომ უმარტივესთა სულებს წყლულისებრ ძოვდა ვნება საცთურისა (რადგან მავანნი, რომლებიც მწვალებელთა¹ მონაჩმახების მიზეზით განზიდულნი იყვნენ ჭეშმარიტი დოგმატებისგან, ნამდვილად ფიქრობდნენ, რომ არსებობის დასაბამისკენ მაშინდა იქნა ხმობილი სიტყვა, როდესაც ადამიანი გახდა იგი), ასეთ დროს შეთანხმებულად ერთად შეიკრიბნენ მორწმუნეთაგან უგონიერესნი, რომლებიც მივიდნენ მაცხოვრის მოწაფესთან, ესე იგი, ვამბობ, საკუთრივ იოანესთან, და, ერთი მხრივ, აუწყეს მას ძმათა შორის გაჩენილი სნეულების შესახებ, ხოლო მეორე მხრივ სხვაგვარად დამმოძღვრელთა მონაჩმახებიც წარმოუჩინეს, შემდეგ კი ევედრნენ მას, რომ ახოვნად² თავს ედვა მათი დაცვა სულისმიერ ნათლისვლენათა³ ძალით, ხოლო იმათთვის, რომლებიც უკვე მოსათხ-

1. ბერძნულშია ἐκείνων – „იმათი“, რაც გულისხმობს მწვალებლებს (რუსულ თარგმანში აზრობრივად მართებულადაა შემატებული ეს სიტყვა).

2. ბერძნ. γοργῶς. ეს ზმნიზება რუსულ თარგმანში მიკუთვნებულია ზმნისადმი „ევედრნენ“ (горячо умоляли), თუმცა ბერძნულში იგი უკავშირდება ინფინიტივს ἐπαμύναი (დაცვა, შეწევნა). ასევეა ლათინურშიც: sibi confestim adesse.

3. „სულისმიერ ნათლისვლენათა ძალით“ – ბერძნ. ταῖς διὰ τοῦ πνεύματος φатаγῶναι (შდრ. ლათ. spiritalibus illustrationibus). ამჯერადაც ტერმინი „სული“ ბერძნულ-ლათინურში მთავრულის გარეშეა, მაშინ როცა რუსულ თარგმანში სულიწმინდაა ნაგულისხმევი: световождениями чрез Духа..

ევლებულები¹ და ეშმაკეულ ბადეთა შიგნით მოქცეულები იყვნენ, მაცხოვრებელი ხელი გაეწოდებინა. მართლაც, შეეწყალა რა უფლის მოწაფეს წარწყმედილები და გონებაგამრუდებულები, ამასთან უალრესად არამართებულად ეჩვენა რა ისიც, რომ არანაირი წინასწარი მზრუნველობა არ გამოევიდნენ მომდევნო თაობათა და იმათ შემდგომთა მიმართ, წიგნის დაწერას დაეშურა, და თუ, ერთი მხრივ, სხვა მახარებლებს დაუთმო მან უვრცელესად გადმოცემა ყოველივე იმისა, რაც უფრო კაცობრივად იყო სათქმელი, კერძოდ მაცხოვრის ხორციელი წარმომავლობის აღწერა რჯულისეული და ბუნებითი შობის კვალობაზე, მეორე მხრივ თვით იგი ძლიერ მხურვალედ და მეტად გაბედულად თავს დაესხა ზემორე აზრების შემომტანთა მონაჩმახებს და ასე თქვა:

„დასაბამში იყო სიტყვა“.²

ამის შესახებ რაღას იტყვი, რომლებსაც ახალი და ახალჩენილი ძე შემოგყავთ, – რომ მეტად აღარ იყოს სარწმუნო მისი ღმერთობა? საღვთო წერილი ამბობს: „არ იყოს შენთვის ღმერთი ახალჩენილი“ (ფს. 80.10). მართლაც, როგორღა არ არის იგი ახალჩენილი, თუკი გვიანდელ ჟამს იშვა? როგორღა არ ყოფილა სიცრუე ის, რაც მან იუდეველებს უთხრა: „ამინ გეუბნები თქვენ, აბრაამის ყოფნადე მე ვარ“ (იოანე 8.58). რა თქმა უნდა, აშკარაა და ყველასგან აღიარებული, რომ ნეტარი აბრაამის შემდეგ მრავალი წლით გვიან იშვა ქრისტე წმინდა ქალწულისგან. ან კი საერთოდ როგორღა შენარჩუნდება და როგორღა გამართლდება ნათქვამი: „დასაბამში იყო“, თუკი საუკუნეთა დასასრულს დაიბადა მხოლოდშობილი? მართლაც, თუნდაც ქვემოთქმულთაგან დაუკვირდი ჩემთან ერთად, თუ რაოდენი შეუსაბამობის მომტანია ძის მარადიული არსებობის შეკვეცა³ და იმის ფიქრი, რომ მოგვიანო ჟამს მიიღო მან არსებობა.

ღიახ, კვლავაც წინ გვიდევს უფრო დაწვრილებით⁴ გამოძიება იმისა, რაც თქვა ნეტარმა მახარებელმა:

1. „მოსათხევლებულები“ – ე. ი. „სათხევლით, ბადით დაჭერილები“ (σεσαυτηνεμένοι).

2. რუსულ თარგმანში რატომღაც აქედან იწყება პირველი თავი.

3. რუსულ თარგმანშია отрицание, რაც არ შეესაბამება ბერძნულ კολიბიუს (ნიშნავს „დასახიჩრებას“, „შემცირებას“, „შეკვეცას“; შდრ. ლათ. mutilare).

4. „უფრო დაწვრილებით“ – შდრ. ბერძნ. λεπτοτέραι (არაადეკვატურია რუსული точнейший). ბერძნულის შესაბამისია ლათინური subtilius.

„დასაბამში იყო სიტყვა“ (1.1).

დასაბამზე უწინარესი არაფერია, თუკი „დასაბამის“ საკუთრივი განსაზღვრება შენარჩუნებული იქნება, რადგან დასაბამის დასაბამი არ შეიძლება იყოს არსებულიყო. მართლაც, თუ სხვა რამ იქნებოდა დასაბამზე უწინარესი მოაზრებული და მასზე უწინარეს აღმოცენებული, მაშინ აღნიშნული დასაბამი უთუოდ განუდგებოდა ჭეშმარიტ დასაბამად ყოფნას. გარდა ამისა, თუკი შესაძლებლად მივიჩნევდით, რომ არსებობს რაღაც ნამდვილ დასაბამზე უწინარესი, ასეთ შემთხვევაში უსასრულობისკენ წარმართებოდა მის შესახებ ჩვენი მსჯელობა, რადგან ყოველთვის აღმოჩნდებოდა სხვა რამ უწინარესი, რაც მეორედ გამოაჩენდა¹ ჩვენი ძიების საგანს.

ამრიგად, არ შეიძლება არსებობდეს დასაბამის დასაბამი, თანახმად ზედმიწევნითი და ჭეშმარიტი განსჯისა, რადგან, სხვაგვარად, უსასრულობამდე და აღუქმელობამდე განიცდებოდა მის შესახებ ჩვენი მსჯელობა. ასე რომ, იმდენად რამდენადაც სასრული არა აქვს მარადიულ უკუმიქცევას დასაბამისკენ, რომელიც ზეაღმატება საუკუნეთა საზომს, შესაბამისად ძე გვევლინება არა დროში შექმნილად, არამედ უმაღლეს მამასთან მარადის მყოფად, რამეთუ „დასაბამში იყო იგი“. მართლაც, თუ „დასაბამში იყო“, მაშ რომელ გონებას ძალუძს, მითხარი, ზეაღმატდეს² მნიშვნელობას სიტყვისას „იყო“; ან კი საერთოდ როდისღა შეიძლება, რომ ის, რაც „იყო“, ასე ვთქვათ, ბოლოში დადგეს, მაშინ როცა იგი მარადის წინ გაურბის მღევარ მსჯელობას და წინ უსწრებს უკან მოდევნებულ აზრს? დიახ, სწორედ ამან განაცვიფრა წინასწარმეტყველი ესაია, როდესაც თქვა: „მის წარმომავლობას ვინ მიუთხრობს? რამეთუ აღიღება მიწისგან მისი ცხოვრება“ (ეს. 53.8). მართლაც, ნამდვილად „აღიღება მიწისგან“ სიტყვა მხოლოდშობილის შობის შესახებ, რაც ნიშნავს, რომ აღემატება

1. „მეორედ გამოაჩენდა“ — ე. ი. თუ დასაბამზე უწინარესი რამ აღმოჩნდებოდა, ეს „დასაბამი“ უკვე თავდაპირველი კი არ იქნებოდა, არამედ იმ უწინარესის მომდევნო, ანუ რიგით მეორე, შემდგომი. შდრ. ბერძნ. δευτέρας ἀποφαινομένης (რუსულში რატომღაც გვაქვს არაადეკვატური производящее). ლათინური იდენტურია ბერძნულთან: post se rejiciente.

2. „ზეაღმატდეს“ — ნიშნავს: „უფრო მაღლა (ანუ უფრო დასაბამისკენ) აუფრინდეს“ ანუ „ზეაღმატოს“, „წინ გაუსწროს“. შესაბამისი ბერძნული სიტყვაა ὑπερανίσταται. შდრ. ლათ. transvolare. რაც შეეხება რუსულ перелететь, იგი ნაკლებ ადეკვატურია, რადგან არ გულისხმობს „ფრენაში (აქ: პირველობისკენ სწრაფვაში) წინ სწრებას“. უფრო ზუსტი იქნებოდა взлететь.

იგი მიწაზე მყოფთა ყველა გონებას და ყველა სიტყვას, რის გამოც არის კიდევ გამოუთქმელი. ამასთან, თუ აღემატება იგი ყველა ჩვენეულ გონებასა და სიტყვას, როგორღა უნდა იყოს ქმნილება, რადგან ჩვენში არსებულ გონებას არა აქვს უძლეულება იმისა, რომ ჟამით და სიტყვით შემოსაზღვროს ქმნილებანი?

სხვაგვარად განჭვრეტა იმავეს: „დასაბამში იყო სიტყვა“.

არანაირად არ შეიძლება, რომ მხოლოდშობილთან დაკავშირებით დასაბამი აღვიქვათ დროში მოაზრებულად, რადგან უფალი ყოველგვარ ჟამზე უწინარესია და მას წინასაუკუნო მყოფობა აქვს. ამასთან, საღვთო ბუნებისთვის უცხოა სასრულამდე მისვლა, რადგან მარადის ერთი და იგივეა იგი, როგორც ეს ფსალმუნებშია ნაგალობები: „ხოლო შენ იგივე ხარ და შენი წლები არ დაიკლებს“ (ფს. 101.28). მაშ, ნუთუ ჟამით და რაოდენობით არის განზომილი ის დასაბამი, საიდანაც გამოდის ძე, რომელიც, როგორც ბუნებით ღმერთად მყოფი, ვერ დაითმენს დასასრულისკენ სრბოლას და ამის გამო ხმობს: „მე ვარ ცხოვრება“ (იოანე 14.6)? მართლაც, დასაბამი თავისთავად ვერასოდეს ვერ გაიაზრება არსებობის მქონედ, თუ არა საკუთარი დასასრულისკენ მჭვრეტელი. ამიტომ, ისევე როგორც დასასრულთან მიმართებით იწოდება იგი „დასაბამად“, ამგვარადვე დასასრულიც სწორედ დასაბამთან მიმართებით იწოდება „დასასრულად“ და ასეთ შემთხვევებში „დასაბამს“ კვლავაც დროისა და რაოდენობის მიხედვით მოვინიშნავთ. შესაბამისად, რადგან¹ ძე თვით საუკუნეებზეც უწინარესია, იგი განელტვის² დროში შექმნილობას, რამეთუ მარადის „იყო“ მამაში როგორც წყაროში, თანახმად მისგანვე თქმულისა: „მე მამისგან გამოვედი და მოვედი“ (იოანე 8.42).

ამრიგად, რადგან წყაროდ გაიაზრება მამა, სწორედ მასში „იყო“ სიტყვა, რომელიც არის მისი სიბრძნე, ძალა, ხატოვნება,³ გამოცისკრება და ხატი⁴. ამასთან, რადგან არ „იყო“ ოდესმე ისეთი ჟამი, როდესაც სიტყვის, სიბრძნის, ხატოვნების და გამოცისკრების გარეშე იქნებოდა მამა, აუცილებელია ისიც ვაღიაროთ, რომ მარადიულად ჰგოეს

1. „რადგან“ — ბერძნ. ἐπειδήπερ (შდრ. ლათ. cum), მაშინ როცა რუსულ თარგმანში რატომღაც გვაქვს если (უნდა იყოს: так как).

2. „განელტვის“ — ე. ი. გაურბის, განეშორება (შდრ. ბერძნ. διαφεύγει). რუსული (не может подлежать) უფრო ლათინურს მიჰყვება (non poterit).

3-4. „ხატოვნება... ხატი“: წინამდებარე თარგმანში ტერმინი „ხატოვნება“ შეესატყვისება χαρακτήრ-ს, „ხატება“ — μορφή-ს, ხოლო „ხატი“ — εἰκὼν-ს. ზმნა μορφοῦμαι ჩვენს მიერ ითარგმნება როგორც „დასახვა“.

ძეც, რომელიც არის ყოველივე ეს თავისი მარადიული მამისადმი. მართლაც, საერთოდ როგორღა არის იგი ხატოვნება, როგორღა არის ზედმიწევნითი ხატი, თუ არ იხილვება იმ მშვენიერებისადმი დასახულად, რომლის ხატადაც ჰგოეს? ასე რომ, არანაირად არ იქნება უმართებულო, თუ ძეს გავიაზრებთ მამაში როგორც წყაროში მყოფად, რადგან ამ შემთხვევაში სახელი „წყარო“ მხოლოდ „რაიმესგან ყოფნას“ მიაწინებს¹. ამასთან, ძე არის მამაში და მამისგან, თუმცა არა როგორც გარედან ანდა დროში დაბადებული, არამედ როგორც მამის არსებაში მყოფი და მისგან ამოზრუნებული, ისე როგორც, ვთქვათ, მზისგან – თავისი გამოცისკრება ანდა ცეცხლისგან – მასში შთანერგილი სიმსურვალე. მართლაც, ამგვარ მაგალითებში იმის დანახვა გვმართებს, რომ ერთისგან თუმცა იშვება ერთი, მაგრამ იშვება ის, რაც მარადის თანამყოფია და განუყრელად თანაარსებული, იმგვარად, რომ ერთის გარეშე მეორეს არ ძალუძს არსებობდეს თავისთავად და ინარჩუნებდეს საკუთარი² ბუნების ჭეშმარიტ რაგვარობას. მართლაც, როგორ შეიძლება, რომ არსებობდეს საერთოდ მზე, თუ მას არ ექნება გამოცისკრება? ან კი როგორღა იარსებებს გამოცისკრება, თუ არ იქნება მზე, რომელიც მას გამოაცისკრებს? ასევე, როგორ იარსებებს ცეცხლი, თუ არ ექნება მას სიმსურვალე? ან კი საიდანღა იქნება მსურვალეობა, თუ არა ცეცხლისგან ანდა, ვთქვათ, სხვა რამ იმგვარისგან, რაც არცთუ დიდად არის დაშორებული ცეცხლის არსობრივ თვისობრიობას.³

ამრიგად, ისევე როგორც აღნიშნულ შემთხვევებთან დაკავშირებით რაიმეში არსებობა იმისა, რაც ამ რაიმესგან გამომდინარეობს, არ სპობს მათ თანაარსებობას, არამედ მშობელთან მარადის თანამსრობლად და მასთან ერთი ბუნების მემკვიდრეკმნილად წარმოაჩენს მისგან შობილს, ამგვარადვეა ძის შესახებაც, რადგან თუმცა მამაში და მამისგან ითქმის და მოიაზრება ძე, მაგრამ არათუ როგორც

1. აქ ხაზგასმულია ის სწავლება, რომ მამას ეწოდება „წყარო“ არა ძეზე უპირატესობის, უწინარესობის, პირველადობის აზრით, არამედ მხოლოდ იმ გაგებით, რომ მამა არის მიზეზი ძისა, რომ მიზეზობრივად ძე მამისგანაა, ანუ იგი სწორედ მამისგან მყოფობს. ამრიგად, ძესთან მიმართებით მამას შეიძლება ეწოდოს „წყარო“ („წყარო ძისა“) მხოლოდ იმ აზრით, რომ ძე მამისგან მყოფია როგორც მამისგან მიზეზოვანი.

2. ტერმინით „საკუთარი“, ჩვეულებრივ, ვთარგმნით ბერძნულ οἰκείος-ს.

3. შდრ. ποιότητος (ლათ. qualitate)

სხვა ტომისა და უცხო, ან კიდევ როგორც მამის შემდეგ მეორე, ასე გაიგება იგი ჩვენს მიერ, არამედ – როგორც მამაში მყოფი, მარადის მასთან თანაარსებული და მისგან ჩენილი, თანახმად საღვთო შობის გამოუთქმელი წესისა; ხოლო ის, რომ წმინდანებისგანაც ითქმის ღმერთი და მამა როგორც დასაბამიც ძისა (მხოლოდღა „მისგან მყოფობის“ აზრით¹), ისმინე ფსალმუნმაგლობლისა, რომელიც სულიწმინდის მიერ წინასწარ ქადაგებს ჩვენი მაცხოვრის მეორე გამოჩინებას და ასე ამბობს ძის მიმართ: „შენთან არის დასაბამი შენი ძალის დღეს, შენი წმინდანების ბრწყინვალეობაში“ (ფს. 109.3), რადგან „ძის ძალის დღე“ ის დღეა, როდესაც განსჯის იგი მთელ სოფელს და უკუშიაგებს თითოეულს მის საქმეთაებრ, ხოლო მამაშინაც მოვა იგი უთუოდ ვითარცა მამაში მყოფი და თავის თავში მამის მქონე, – მამისა როგორც რამეგვარად საკუთარი ბუნების დაუსაბამო დასაბამისა (მხოლოდღა „მისგან მყოფობის“ აზრით, რადგან მამისგან ჰგოეს იგი).

1.1. „დასაბამში იყო სიტყვა“:

ბევრსახოვნად და ნაირფერ აზრებად მრავალგვარდება² ჩვენი მსჯელობა აქ ნაგულისხმევი „დასაბამის“ შესახებ, რადგან იმას ვესწრაფვით, რომ ყოველმხრივ მოვინადიროთ, რაც კი სარგებლობის მომტანია, რაჟამს ძაღლისებრ კვალში მივყევით საღვთო ღოგმატა ჭეშმარიტ წვდომას და საიდუმლოთა შინაგან სიზუსტეს. მართლაც, მაცხოვარი ერთგან ამბობს: „გამოიძიეთ წმინდა ნაწერები, რადგან თქვენ ფიქრობთ, რომ მათში გაქვთ საუკუნო სიცოცხლე, და ისინი არიან, რომლებიც სწამებენ ჩემს შესახებ“ (იოანე 5.39).

ამრიგად, ჩანს, რომ ნეტარი მახარებელი აქ „დასაბამით“ ყოვლის მფლობელობას, ესე იგი მამას აღნიშნავს, რათა საღვთო ბუნების სუფევა ყოველთა ზედა გამოჩნდეს, რადგან ამ ბუნების ფერხ-

1. აქაც ხაზია გასმული, რომ მამა ძის „დასაბამად“ (ისევე როგორც „წყაროდ“) ითქმის არა რაიმე უწინარესობის თუ უპირატესობის ნიშნით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ მიზეზობრიობის შესაბამისად ანუ მხოლოდ იმ აზრით, რომ ძე მამისგანაა (და არა მამა ძისგან).

2. „მრავალგვარდება“ – ე. ი. მრავალგვარად წარმოჩნდება (შდრ. ბერძნ. ზმნა καταποικίζεται, რაც კირილეს მიერ უთუოდ ძირეული მნიშვნელობით არის მოხმობილი, ეს ძირეული მნიშვნელობა კი გულისხმობს სიტყვას ποικίλος – მრავალგვარი, მრავალფერი).

თით არის მთელი ქმნილება, ხოლო თვით იგი თითქოსდა ამხედრებულია მათზე, რომლებსაც მანვე უხმო არსებობისკენ.

სწორედ ამ „დასაბამში“, რომელიც არის ყოვლისადმი და ყოველივეზე, „იყო“ სიტყვა, თუმცა „იყო“ იგი არა მის ფერხთით, სხვებთან ერთად, არამედ – ბუნებითად მასში, ყოველთა მიღმა, ვითარცა ნაყოფი თანამარადიული, ნაყოფი, რომელსაც თავისი მშობლის ბუნებაში ჰქონდა, ასე ვთქვათ, ადგილი – ყოველთა უდასაბამიერესი. ამიტომ, ისიც როგორც თავისუფალი, თავისუფალი მამისგან ბუნების მქონე, ყოველთა მიმართ დასაბამობასაც მასთან ერთად ფლობს. შესაბამისად, ამჯერადაც შემდგომი დაკვირვების ღირსია, თუ რა გააზრება უნდა მიეცეს აღნიშნულ კონტექსტს.¹

ზოგიერთები, როგორც ზემოთ ვამბობდით, თავდაუზოგავად ამტკიცებდნენ, რომ ღვთის სიტყვა პირველად მაშინ იქნა არსებობისკენ ხმობილი, როდესაც მან წმინდა ქალწულისგან ტაძარი მიიღო² და ჩვენს გამო ადამიანი გახდა. რაღა გამოვიდოდა, მაშ, ასეთ შემთხვევაში, თუკი იქნებოდა იგი დაბადებული და ქმნილი, და სხვა ყველასთან თანაბრებითი, რომლებსაც არაარსთაგან აქვთ არსებობა და რომლებზეც სამართლიანად ჭეშმარიტდება³ მონობის სახელიც და საქმეც? მართლაც, რომელია ის ქმნილება, რომლის მიერაც უსაფრთხოდ უარიყოფა ყოვლისმპყრობელი ღვთისადმი მონობა ანდა რომელიც ქვეშ არ მოუდრკება ყოველთა დასაბამს, და მფლობელობას, და უფლებრივობას, რომელსაც თვით სოლომონიც მიანიშნებს ერთგან, როდესაც ამბობს: „რამეთუ სამართლიანობით განუმზადებია საყდარი⁴ დასაბამისა“ (იგავ. 16.12). მართლაც, განმზადებულია და ფრიად და ფრიად კეთილსახოვანიც არის სამართლიანობისადმი „საყდარი დასაბამისა“, იმ დასაბამისა, რაც, ცხადია, ყოველთა ზედაა. და თუ რა არის ეს „საყდარი“, რაზეც ახლა ვმსჯელობთ, ამის შესახებ ისმინე ღვთისა, რომელიც ასე ამბობს ერთ-ერთი წმინდანის მიერ: „ცა არის ჩემთვის საყდარი“ (ესაია 66.1). ამრიგად, განმზადებულია სამართლიანობისადმი ცა, ესე იგი ცათა შინა მყოფი წმინდა სულები.

1. „კონტექსტი“ – ბერძნ. κατασκευή

2. „ტაძარი მიიღო“ – ე. ი. კაცობრივი ბუნება, ადამიანური სხეული მიიღო.

3. „რომლებზეც... ჭეშმარიტდება“ – შდრ. იქ... ἐπαληθεύεται

4. „საყდარი“ – აღნიშნული ტერმინი ყველგან მოხმობილი გვაქვს ძველი ქართული მნიშვნელობით („ტახტი“). იგი გადმოსცემს ბერძნულ θρόνος-ს.

ამრიგად, რადგან აუცილებელი გახდებოდა დავთანხმებოდით იმას, რომ სხვა ქმნილებებთან ერთად ძეც ექვემდებარება ღმერთსა და მამას, როგორც მსახურებითი წესის მქონე და, სხვების მსგავსად, დასაბამის ძალაუფლების ქვეშ მოქცეული, თუკი იგი, მწვალებელთა¹ კვალობაზე, გვიანშობილია და დროში შექმნილთაგან ერთ-ერთი, სწორედ ამიტომ ნეტარი მახარებელი, საჭიროებიდან გამომდინარე, უმძაფრესად ესხმის თავს სხვაგვარად დამოძღვრელთ და, ერთი მხრივ, ყოველგვარი მონობისგან განაშორებს ძეს, მეორე მხრივ კი გვიჩვენებს მას როგორც თავისუფალი და ყოველთა დასაბამიყოფელი² არსებისგან გამოჩინებულს, და გვისაბუთებს, რომ ბუნებითად მასში მყოფია იგი, როდესაც ამბობს:

„დასაბამში იყო სიტყვა“.

აქვე მახარებელი ტერმინ³ „დასაბამს“ მარჯვედ ურთავს ტერმინს „იყო“, იმ მიზნით, რომ არა მხოლოდ სიდიადის მქონედ გავი-აზროთ ძე, არამედ აგრეთვე – წინასაუკუნოდ, რადგან ამ შემთხვევაში ტერმინი „იყო“ რაღაც ღრმა, მიუწვდომელი და ჟამთა გარეგანი გამოუთქმელი შობისკენ ზეაიზიდავს მჭკრეტელის გონებას. მართლაც, ტერმინი „იყო“, დაუსაზღვრელად აღმოთქმული, რომელ ადგილთან შეგვაჩერებს ჩვენ, რადგან თვისობრივია მისთვის, რომ მარადის წინ უსწრებდეს მდევნელ გონებას, და თუ რამ მის დასასრულად მოეჩვენება ვინმეს, ამას შემდგომი სრბოლის დასაბამად აქცევს იგი?

ამრიგად, „იყო სიტყვა დასაბამში“, ესე იგი – როგორც ყოველთა ზედა დასაბამში და მისგან მყოფი, ბუნებითად⁴ მქონე საუფლო

1. „მწვალებელთა“ – აქაც ბერძნულში ნაცვალსახელია: ἐκείνοις, რაც ერეტიკოსებს გულისხმობს.

2. „დასაბამყოფელი“ – ბერძნ. ἀρχιστή. როგორც ცნობილია, ბერძნული ἀρχή (და, აქედან, ზმნა ἀρχα) ორი ძირითადი მნიშვნელობით გამოიყენება: დასაბამი და ბატონობა. რადგან მოცემულ შემთხვევაში წმ. კირილე განმარტავს ἀρχή-ს როგორც „დასაბამს“, მიმღეობა ἀρχιστή-ც ამ მნიშვნელობით უნდა იყოს განმსჭვალული (ე. ი. დამწყები, დასაბამის დამდები), რაც, ცხადია, განუყოფლად გულისხმობს ყოველთა გამგებლობასაც.

3. ბერძნულ θῆμι-ს აქაც და ქვემოთაც უმრავლეს შემთხვევაში ვთარგმნი როგორც „ტერმინი“, რადგან სწორედ ეს გააზრება აქვს მას.

4. ლათინურში „ბუნებითად“ მიკუთვნებულია წინა სიტყვებისადმი (ე. ი. „...მისგან მყოფი ბუნებითად“), რაც, ბერძნულის მიხედვით, ასევე შესაძლებელია.

ღირსებისა; ხოლო თუ ეს ჭეშმარიტია, როგორღა არის იგი დაბადებული ანდა ქმნილი? საერთოდ, სადაც არის „იყო“, იქ რა სახით შეიძლება შემოვიდეს „არ იყო“ ანდა, ბოლოს და ბოლოს, რანაირად დაუკავშირდება იგი ძეს?¹

1. სიტყვა: „რა ადგილი ექნება მას ძის მიმართ“.

თავი მეორე

რომ ძე, რომელიც არის ღმერთიც და თანაარსიც მამისა, ჰგის თავის ჰიპოსტასში, ისევე როგორც – მამაც¹

1.1. „და სიტყვა იყო ღმერთთან“

როდესაც მახარებელმა უკვე საკმარისად დაასაბუთა, რომ გაცვეთილი და ჭეშმარიტებისგან დაცილებული იყო ზემორე შეხედულებების მქონეთა ნააზრევი, და როდესაც მან, თქვა რა: „დასაბამში იყო სიტყვა“, ყველა შესასვლელი გადაუკეტა იმათ, რომლებიც არაარსთაგან არსებულად ამბობდნენ ძეს, და ამ მხრივ გადაჭრით აღკვეთა მთელი მათი ფუჭმეტყველება, ამის შემდეგ სხვა მწვალებლობაზე გადადის იგი, რაც ახლოსაა ზემორესთან და უძნელესად დასაძლევია. ამიტომ, მახარებელი, მსგავსად რჩეული და, ამასთან, ტკივილთდამთმენი მებაღისა, რომელსაც მართლაც რომ ძალიან ახარებს ბარით შრომა და შერტყმული აქვს რა წელი, თავისთვის ყველაზე უფრო შესაფერისი სამოსით სოფლურად მოსაქმე მთელ გულმოდგინებას იქითკენ იჩენს, რომ ბაღის სახე ეკლების უღაზათობისგან გაათავისუფლოს, რაჟამს გამუდმებით სათითაოდ სპობს მათ და წრიულად გარემომვლელი სულმუდამ ძირკვავს შემაწუხ-

1. შესამჩნევია მცირედი ტექსტობრივი სხვაობა თავების წინ ერთობლივად მოცემულ დასათაურებებსა და ყოველი თავის წინ კონკრეტულ დასათაურებას შორის.

ებელ მცენარეს, როდესაც ბარის მაგარ კბილებს დაჰკრავს მას, ამგვარადვე ნეტარი იოანეც, გონებით მატარებელი „ცხოველი, მოქმედი და უმკვეთლესი ღვთის-სიტყვისა“ (ებრ. 4.12), უმახვილესი მზერით და უგამჭრიახესი გონებით გარემოიხილავს სხვაგვარმოფიქრალთა უკეთურების მწარე აღმონაცენებს და მათკენ თითქოსდა სირბილით მავალი ძალუმად აღმოკვეთს მათ ყოველმხრივ, რითაც თავისი ნაწერების წამკითხველთ მართალ რწმენაში დაცულობას ანიჭებს. მართლაც, კვლავ ნახე ამ სულშემოსილის გონებასი ფხიზლე: ადრე ის გვასწავლა, რომ „იყო სიტყვა დასაბამში“, ესე იგი – ღმერთში და მამაში, როგორც ვთქვით, მაგრამ რადგან გონების თვალი გასხივოსნებული ჰქონდა მას, შესაბამისად, არ იყო უმეცარი იმისა, რომ აღდგებოდნენ მავანნი, რომლებიც, დიდი უსწავლელობის გამო, იგივეობრივად იტყოდნენ მამას და ძეს, განყოფდნენ რა წმინდა სამებას მხოლოდლა სახელებით, თავ-თავის ჰიპოსტასებში არსებობას კი არ დაუშვებდნენ, ანუ არ დაუშვებდნენ იმას, რომ მამა ნამდვილად მამად შემეცნებულიყო და არა ძედ, ან კიდევ იმას, რომ ძეს საკუთრივ ძედ ეარსება და არა მამად, როგორც შეიცავს კიდევ ამას ჭეშმარიტების შესახებ მოძღვრება. ამის გამო მახარებელი, აუცილებლობიდან გამომდინარე, ამ მწვალებლობის როგორც იმუამად უკვე დათესილისა და აღმოცენებულის, ან კიდევ სამომავლოდ აღმოცენებადის, წინააღმდეგაც აღიჭურვება და მის აღმოსაფხვრელად ზემორე სიტყვებს („დასაბამში იყო სიტყვა“) მყისვე დაურთავს:

„და სიტყვა იყო ღმერთთან“.

საჭიროების შესაბამისად, მახარებელს ყველგან შემოაქვს „იყო“, ძის წინასაუკუნო შობის გამო, ამასთან, ამბობს რა სიტყვას ღმერთთან მყოფად, ამით წარმოგვიჩენს, ერთი მხრივ, ძეს როგორც ერთერთს¹ და თავით თვისით² გვაძოვანს, ხოლო მეორე მხრივ – კვლავ

1. ბერძნულში *ἐν τῇ* (სიტყვ. „ერთი რამ“), რაც თეოლოგიურად ზედმიწევნით გადმოიცემა ქართულად სიტყვით „ერთერთი“ (რომ ძე ერთერთი ჰიპოსტასია ყოვლადწმინდა სამებისა და არა ერთი). ზემორე აზრის გამოსახატავად აღნიშნული „ერთერთი“ უნიკალურია და მისი ეკვივალენტი სხვა ენებს არ აქვთ. ამიტომაც, რომ ლათინურში შესატყვისია *unum quiddam*, რუსულში – *нечто одно* (აღნიშნულ ენებში, და ბერძნულშიც, „ერთს“ რომ „ერთერთის“ ზემორე მნიშვნელობა მიენიჭოს, მას ემატება განუსაზღვრელი ნაცვალსახელი „რაიმე“, „რამ“).

2. „თავით თვისით“ – ასე გადმოვცემთ ყველგან ბერძნულ ტერმინს *αὐτὸ καὶ ἑαυτὸ* (თავისი თავის შესაბამისად) ან *καὶ ἑαυτὸ (ἑαυτόν)*

ღმერთსა და მამას როგორც სხვას, რომელთანაც იყო სიტყვა. მართლაც, საერთოდ როგორ შეიძლება, რომ რაც რიცხობრივად ერთია¹, აღვიქვათ თავისი თავისადმი ან თავის თავთან მყოფად?

ხოლო ის, რომ მწვალებელთა მსჯელობა ამის შესახებაც უმეცრული წარმოჩნდება, ამას ქვემოდაწესებულთა განხილვის შედეგად გამოვავლენთ, როდესაც გამოსაკვლევთა ზედმიწევნით გამოძიებას შევუდგებით.

სილოგიზმებით და წერილის დამოწმებებით დასაბუთება იმისა, რომ მამაც თავის ჰიპოსტასში ჰგიეს და ძეც – ამგვარადვე, რომ- ლებთან ერთადაც, ცხადია, ღვთისმეტყველება სულიწმინდაც, თუმცა კი ამჯერად მის შესახებ არაფერი გამოიძიება

ძე თანაარსია მამისა, მამა კი – ძისა; ამიტომაც უცვალებელ² მსგავსებამდე აღიწევია³ ისინი, ისე რომ ძეში იხილვება მამა, ხოლო მამაში – ძე, და ერთში მეორე ელვარებს, როგორც თვითვე ამბობს ერთგან: „ჩემმა მხილველმა იხილა ჩემი მამა“ (იოანე 14.9), და კიდევ: „მე მამაში ვარ და მამა – ჩემში“ (იოანე 14.10-11; შდრ.

1. აქ ნაგულისხმევია პიროვნულად (და არა ბუნებითად) ერთი. მართლაც, ერთი პიროვნება არ შეიძლება ითქვას თავის თავთან მყოფად. შესაბამისად, როდესაც მახარებელი „სიტყვას“ „ღმერთთან მყოფად“ ამბობს, აშკარაა, რომ იგი ორ პიროვნებაზე (ძეზე და მამაზე) გვაუწყებს.

2. „უცვალებელი“ – ბერძნ. *ἀπαράλλακτος*, რაც ნიშნავს „უცვლელს“ და რაც ძველ ქართულად ითარგმნებოდა როგორც „უცვალებელი“ (ჩვენ ვამჯობინებთ ძველ ქართულ ფორმას ამ სიტყვისას, რადგან თანამედროვე „უცვლელი“ სხვა ნიუანსის შემცველიცაა). ლათინურში ორსიტყველი თარგმანი გვაქვს: *prorsus eandem* („სავსებით იმავე“). ტერმინოლოგიურად ნაკლებამართლებულია რუსული *совершеннейшее*.

3. „აღიწევია“ – ბერძნ. *ἀναβαίνει* (ზეადიან, მაღლდებიან, აღიწევია). ცხადია, ეს სიტყვა, ისევე როგორც აურაცხელი სხვა, პირობითი გამონათქვამია (პირდაპირი აზრით ყოვლადწმინდა სამების ჰიპოსტასები არსაითკენ არ მაღლდებიან) და მისი გადმოტანა თარგმანში აუცილებელია წმ. კირილეს საღვთისმეტყველო ენის შესანარჩუნებლად. შესაბამისად ტერმინოლოგიურად არაზუსტია ლათინური *coeunt* („ერთდებიან“) და რუსული *имеют*.

10.38), მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ძე მამაშია და, ამასთან, თავის თავში ჰყავს მას მამა (როგორც უკვე ითქვა, იგი არის, ერთი მხრივ, კეთილად დატყეშმარიტებული¹ მშობლის ხატებისადმი, ხოლო მეორე მხრივ იმათგან², რომელთაგანაც ჰგიეს თავად, გაუმრუდებლად³ გამომსახველია თავის თავში მშობლისა), ამის გამო როდი კარგავს იგი განთვისებულად⁴ მყოფობას, ან კიდევ მამა როდი ისპობს თავით თვისით გვამოვნობას⁵, არამედ მიუხედავად ძალიან დიდი მსგავსებისა და მგვანებისა, ჰიპოსტასთა არანაირი აღრევა არ ხდება, ისე თითქოს მშობელი მამა და მისგან შობილი ძე გაიაზრებოდეს როგორც რიცხვით ერთი. პირიქით, ერთი მხრივ, აღიარებული უნდა

1. „დატყეშმარიტებული“ – ე. ი. ტყეშმარიტად, ზედმიწევნით მიმსგავსებული, „დახატული“. ბერძნულში გვხვდება ტერმინი *ἀποκρίψαμις*, რაც ეფუძნება ზედსართავს *ἀκριψ* („ზედმიწევნით“). ძველი ქართული აკრიბოლოგიური ტერმინოლოგია ნაირგვარია (იხ. ე. ჭელიძე, ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია, I, თბ. 1996, გვ. 490-502; 665-666), რომელთაგან ამჯერად შეიძლება გამოგვეყო ტერმინი „განტყეშმარიტებული“ (ე. ი. ზედმიწევნით მისაღებებული), რაც გვხვდება წმ. გიორგი მთაწმინდელთან (იხ. დასახ. წიგნი, გვ. 493). ამასთან, ყურადღება უნდა მივაქციოთ წმ. კირილეს მიერ ხაზგასმულ მიმართებითობას (ძისა მამისადმი), რაც გამოხატულია წინდებულით *παρὲς* (-კენ, -დმი). შესაბამისად, ზემორე კონტექსტში ზმნა *ἀπακρίβω* ზუსტად იმ შინაარსს შეიცავს, რაც შეიძლება ჩაგვედო ტერმინში „დატყეშმარიტება“, ხოლო მიმღეობა *ἀποκρίψαμις* ამომწურავად იფარება ტერმინით „დატყეშმარიტებული“, რომლის ფუძისეული „ტყეშმარიტი“ მკვეთრად გახაზავს სწავლებას იმის შესახებ, რომ ძეს და მამას ერთი „მორფე“ ანუ ერთი ხატება აქვთ, ანუ ძე ტყეშმარიტად ფლობს მამისეულ „ხატებას“ (*μορφή*), რაც ნიშნავს, რომ იგი „დატყეშმარიტებულია“ (ე. ი. „ტყეშმარიტად დახატულია“) მამისეული ხატებისადმი.

2. „იმათგან“ – იმ თვისებებისგან, იმ ღირსებებისგან.

3. „გაუმრუდებლად“ – შდრ. *ἀπαρροισήτως* (გადაუკეთებლად, გაუყალბებლად, დაუმახინჯებლად)

4. წინამდებარე თარგმანში ბერძნულ ზმნიზებას *ἰδὲ* ყველგან გადმოვცემთ მისი ზედმიწევნითი ძველი ქართული შესატყვისით „განთვისებულად“ (ე. ი. პიროვნული, ჰიპოსტასური განცალკევებულობით, შეურწყმელობით). ეს ტერმინი უთუოდ აღსადგენია, რადგან იგი სავსებით ადეკვატურია ზემორე ბერძნული სემანტიკისა (შესაბამისად, *ἰδὲ*-ს გადმოვცემთ ტერმინებით: „თავისი“, „განთვისებული“). რაც შეეხება რუსული თარგმანის *одинъ*-ს, ვფიქრობთ იგი ბერძნულთან ადეკვატურობით არ გამოირჩევა.

5. რადგან ბერძნული *παρὸς* ითარგმნება როგორც „გვამოვნება“, შესაბამისად გასუბსტანტივებულ ინფინიტივს *τὸ ἀποσταμι* გადმოვცემთ ტერმინით „გვამოვნობა“, რაც ნიშნავს „ჰიპოსტასურად არსებობას“.

იყოს ბუნების იგივეობა ორივესთან დაკავშირებით, მეორე მხრივ კი უთუოდ კანონზომიერად უნდა იქნეს მიჩნეული, რომ განთვისებულად გვამოვნობს¹ თითოეული მათგანი, რათა მამაც ნამდვილად შეიცნობოდეს მამად და ძეც ძედ, რადგან როდესაც მათთან ერთად ამგვარადვე აღირიცხება და თანაიღვთისმეტყველება წმინდა სული, წმინდა და თაყვანსაცემ სამებას საკუთარი სისავსე ექნება.

სხვა: თუ იგივეა ძე და მამა, რაღა აზრი აქვს სახელთა განსხვავებას? რამეთუ თუკი მამას საერთოდ არ უშვია ძე, რის გამო იწოდება მამად? ან კი საერთოდ როგორღა ჰგიეს ძე, თუ იგი არ შობილა მამისგან? მართლაც, აუცილებლობიდან გამომდინარე, აღნიშნული სახელები თავისთავად ითხოვენ ამგვარ მსჯელობას. ამასთან, რადგან ძის შობილობას საღვთო ნაწერები ქადაგებენ და რადგან ტყეშმარიტების მოძღვრებაც ამგვარია, მაშ თავით თვისით გვამოვნობს კიდევ იგი. ამასთან, თუკი შობილი მშობლისადმი ჩანს როგორც სხვა სხვისგან, ცხადია, რომ მამაც, აგრეთვე, განთვისებულობითად² ჰგიეს.

სხვა: ნეტარი პავლე, მისწერს რა ფილიპელებს, ძის შესახებ ამბობს: „რომელიც ღვთის ხატებაში ჰგიეს, მინატაცებად არ შეურაცხია მას ღვთის სწორად ყოფნა“ (ფილ. 2.6). მაშ, ვინ არის იგი, ვინც არ ინება რომ მინატაცებად შერაცხილიყო მისი ღვთისსწორად ყოფნა? ნუთუ არაა აუცილებელი ვთქვათ, რომ ერთია ის, ვინც ღვთის ხატებაში ჰგიეს, ხოლო მეორე კიდევ ის, რომლისაც იყო ხატება? დიახ, ეს ყველასთვის ცხადია და აღიარებულიც ყველასგან. ასე რომ, არ არის რიცხვით ერთი და იგივე რამ მამა და ძე, არამედ თვითმდგომნი³ არიან ისინი და ურთიერთში ჭვრეტილნი,

1. „გვამოვნობს“ (ე. ი. ჰიპოსტასურად არსებობს) – ამ ტერმინით გადმოვცემთ პირიან ფორმას ზმნისას *ἵσταμαι* (*ἵσταναι*), ან ზოგჯერ, კონტექსტის შესაბამისად, ინფინიტივსაც (იხ. აგრეთვე წინა შენიშვნა). სხვადასხვა შემთხვევაში ვიყენებთ გელათური საღვთისმეტყველო სკოლის ტერმინებსაც: „შეგვამება“, „შეგვამოვნება“, „შეგვამებული“, „შეგვამოვნებული“.

2. „განთვისებულობითად“ – ე. ი. ჰიპოსტასური განცალკევებულობით (რადგან ბერძნული *ἰδὲ*ს ჩვენს მიერ ითარგმნება ტერმინით „განთვისებულად“, მონათესავე *ἰδέσθαι*ს გადმოგვაქვს ტერმინით „განთვისებულობითად“). ლათინურში მართებული შესატყვისია: *singulariter*. რაც შეეხება რუსულს, აქ კვლავ *одинъ* გვაქვს, რაც ჩვენი აზრით ძალიან მოუხერხებელი ეკვივალენტია.

3. „თვითმდგომნი“ – ბერძნ. *ἰδιοῦσται*. ეს რთული ტერმინი ლათინურში აზრობრივად არის თარგმნილი: *proprium habent hypostasim* („საკუ-

შესაბამისად არსების იგივეობისა, თუმცა კი ერთი არსებობს ერთისგან, – ცხადია მამისგან ძე.

სხვა: „მე და მამა ერთი ვართ“ (იოანე 10.30), – თქვა მაცხოვარმა, ვითარცა მცოდნემ, ცხადია, თავისი თავისაც, როგორც განთვისებულად გვაძოვანისა, და მამისაც, ხოლო თუ ამგვარი არ არის საქმის ჭეშმარიტება, რადღა არ შეუნარჩუნა მან ერთებას ის, რაც ამ ერთებას შეჰფეროდა, და რად არ თქვა ასე: „მე და მამა ერთი ვარ“? ამიტომ, რადგან მრავლობით რიცხვამდე განავრცობს უფალი აღნიშვნის საგანს, ამით მაინც უნდა იყოს ცხადი, რომ სხვაგვარმოფიქრალთა თვალსაზრისს ამხობს იგი, რადგან არ იქნებოდა გონივრული, რომ ერთისადმი შემოტანილიყო „ვართ“.

სხვა: ადამიანის შექმნასთან დაკავშირებით ხმა განისმება ღვთისა, რომელიც ამბობს: „შევქმნათ ადამიანი ჩვენი ხატისებრ და მსგავსებისებრ“ (შესაქ. 1.26). თუკი, მაშ, წმინდა სამების სიფართოვე¹, ასე ვთქვათ, დაიყვანება² რიცხობრივად ერთ რაიმემდე და თუ მამა და ძე არ გვაძოვებენ თავით თვისით (მეურჯულოენი³ სწორედ ამას უსპობენ მათ), ვინდა უნდა იყოს ის, ვისდამიც ითქმის: „შევქმნათ ადამიანი ჩვენი ხატისებრ“? მართლაც, თუ ისეა საქმე, როგორც მავანნი ყბედობენ, მაშინ საჭირო იყო ასე თქმულიყო: „შევქმნათ ადამიანი ჩემი ხატისებრ და მსგავსებისებრ“. მაგრამ ახლა, რადგან ასე არ ამბობს წიგნის დამწერი და რადგან რიცხობრივ მრავლო-

თარი ჰიპოსტასი აქვთ“). რუსული თარგმანი ორიგინალს დაცვილებულია: **существует один**. აღვნიშნავთ, რომ ზემორე ტერმინი „თვითმდგომი“, რაც „თავისი ჰიპოსტასით არსებობას“ ნიშნავს, პარალელს პოულობს ძველ ქართულ ჰიპოსტასოლოგიურ ტერმინოლოგიაში, სადაც ფიქსირებულია ასეთი ფორმები: „მდგომარე თავით თვსით“, „თავით თვსით მდგომი“ (იხ. ე. ჭელიძე, ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია, გვ. 124-125).

1. „სიფართოვე“ – **τὸ πλάτος** (სიგანე, განი, სიფართოვე). შდრ. ლათ. **amplitudo**. ცხადია, ტერმინი „სიფართოვე“ (და ბევრი სხვა ამგვარი), როგორც აღვნიშნავდით, სრულიად პირობითია (პირდაპირი აზრით, ყოვლადწმინდა სამება უსასრულოდ აღემატება ყოველგვარ სიფართოვეს) და იგი წმ. კირილეს მიერ მოხმობილია მხოლოდ იმ აზრით, რომ გამოიკვეთოს ერთარსება ღვთის სამპიროვნულობა (ანუ ის, რომ ერთარსება ღმერთი ერთი პიროვნება კი არ არის, არამედ იგი „ფართოვდება“ ანუ, წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის თქმისებრ, „მოძრაობს“ ვიდრე სამპიროვნულობამდე, არ იზღუდება ერთპიროვნულობით). რუსული თარგმანი **полнота** ტერმინოლოგიურად დაცვილებულია ორიგინალს.

2. „დაიყვანება“ – ბერძნ. **συστέλλεται** (მოკლდება, მცირდება, იკვეცება, დაიყვანება). შდრ. ლათ. **contrahitur**.

3. შდრ. **δυσσεβόντες**

ბითობას განუკუთვნებს შესაქმის აღსრულებას, შემოაქვს რა „ჩვენი ხატისებრ“, ამით იგი, როგორც თითქოსდა ბრწყინვალე და დიდი ხმით, ღალადებს, რომ წმინდა სამების აღრიცხულობა¹ ერთებაზე² მეტია.

სხვა: თუ გამოცისკრება³ მამისა არის ძე, როგორც სინათლე სინათლისგან, როგორ არ არის იგი მისგან განსხვავებული, ვითარცა თვითმდგომი? მართლაც, საზოგადოდ, გამოცისკრებული ისაა, რომელიც სხვისგან (ცხადია, გამომცისკრებლისგან) და არა თვით თავისი თავისგან განიცდის ამას.

სხვა: როდესაც ძე თავის თავს წარმოაჩენს ღვთისა და მამის არსებისაგან მყოფად, ერთგან კვლავ ამბობს: „მე მამისგან გამოვედი და მოვედი. კვლავ მივდივარ მამასთან“ (იოანე 8.42; 16.28). ამიტომ, როგორღა არ იქნება იგი მისგან განსხვავებული ჰიპოსტასურად და რიცხობრივად, რაჟამს ყველა მონაცემი იმაში გვაჯერებს, რომ რაიმესგან წინ გამოსული გაიაზრება როგორც განსხვავებული იმისგან, რომლისგანაც გამოვიდა კიდევ წინ? ამიტომ, არ არის ჭეშმარიტი მოწინააღმდეგეთა მსჯელობა.

სხვა: გვწამს რა ღმერთი მამა, ძე მხოლოდშობილი და წმინდა სული, გაუმართლებით. სწორედ ამის გამო თვით მაცხოვარიც საკუთარ მოწაფეებს ასე უბრძანებს, როდესაც ეუბნება: „წადით და დაიმოწაფეთ ყველა ხალხი და მონათლეთ ისინი მამის, ძისა და სულიწმინდის სახელით“ (მათე 28.19). ამრიგად, თუ საერთოდ არაფერს შეიცავს დამაფიქრებელს ჩვენთვის სახელთა განსხვავება, და თუ ის ხდება, რომ როდესაც ვინმე ამბობს მამას, ძეს აღნიშნავს, ხოლო სახელდებს რა ძეს, მის მამას მოიხსენებს, რაღა საჭირო ყოფილა

1. „აღრიცხულობა“ – ბერძნ. **ἀπαριθμῶν** (დათვლადობა).

2. „ერთება“ – ბერძნ. **ἑνότης**

3. „გამოცისკრება“ – ბერძნ. **ἀπαύγασμα**. აღნიშნული ტერმინი „პავლეთა“ ძველ ქართულ რედაქციებში თარგმნილია როგორც „ბრწყინვალეობა“. საგულისხმოა, რომ ფუძისეული **აუყრ** (ცალკეც და სხვადასხვა წინდებულებითაც) უკვე წმ. ეფრემ მცირის დროიდან ითარგმნება როგორც „ცისკარი“, „ცისკროვანება“. საკუთრივ „პავლეთა“ ზემომითითებულ მუხლში, რაც საკმაოდ ხშირად ციტირებული გეგმათური სკოლის თარგმანებში, ტერმინი **ἀπαύγασμα** ტერმინოლოგიურად გადმოიცემოდა როგორც „აღცისკრება“ (იხ. ე. ჭელიძე, გონებითი ცისკარი, გაზ. თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია, 1998, №1). რამდენადაც ბერძნული ტერმინის წინდებული **ἀπὸ** უიგივდება ქართულ „გან“, „გამო“-ს და რადგან ეს ტერმინი მამისგან ძის გამოსვლას აღნიშნავს, უფრო ზედმიწევნითი ჩანს ტერმინი „გამოცისკრება“ (შდრ. რუს. **отражение**).

მაშინ იმ ბრძანების გაცემა, რომ სამებისადმი (და არა უმაღლეს ერთვისადმი) მონათლულიყვნენ მორწმუნეები? მაგრამ რადგან სამ რიცხვამდე მსრბოლობს¹ მოძღვრება საღვთო ბუნების შესახებ, ყველასთვის ცხადია, მაშ, რომ აღრიცხულთაგან² თითოეული თავის ჰიპოსტასში ჰგეის, ხოლო შესაბამისად იმისა, რომ ბუნებითად არცერთი მხრივ არ სხვაობენ³ ისინი, ერთ ღმრთეობამდე აღიწევინ⁴ და მათ ერთი თაყვანისცემა აქვთ.

სხვა: ღვთის რისხვამ რომ დაწვა სოდომელთა ქალაქები, ამას საღვთო წერილი ამბობს, ხოლო როდესაც იგი გადმოგვცემს, თუ როგორ მოიწია მათზე ღვთის გულისწყრომა, წარწყმედის სახესაც ცხადად გვასწავლის და ასე ამბობს: „აწვიმა უფალმა უფლის მიერ ცეცხლი და წუმწება“ (შესაქ. 19.24), რადგან სწორედ ამგვარი ხვედრი (ხვედრი სასმისისა⁵) იყო უაღრესად შესაფერისი მათთვის,

1. „სამ რიცხვამდე მსრბოლობს“ – εἰς τὸν τρεῖς ἀριθμὸν... ἐκτρέχει. ზედმიწევნითა ლათინური: in trium numerum excurrat (რუსული ნაკლებადეკვატურია: достигает до тройственного числа). აქ შეიმჩნევა გამოკრთობა წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის ცნობილი სწავლებისა: „ერთება, ორობამდე ნამოძრაობები, სამობასთან გაჩერდა“.

2. „აღრიცხულთაგან“ – ე. ი. დათვლილთაგან, ჩამოთვლილთაგან.

3. „არ სხვაობენ“ – რუსულში გვაქვს: „არ იცვლებიან“, რაც მცდარია (несколько не изменяясь по природе). მართალია, შესაბამისი ἐξῆλλαχθαι (ἐξῆλλασθαι) „ცვალებადობასაც“ ნიშნავს, მაგრამ მისი, როგორც გარდაუვალი ზმნის, მნიშვნელობაა „განსხვავება“ (различаться), რასაც გულისხმობს კიდევ იგი მოცემულ კონტექსტში. საქმე ისაა, რომ წმ. კირილე გვესაუბრება, ერთი მხრივ, ყოვლადწმინდა სამების პირთა ჰიპოსტასურ სხვაობაზე, რაც ამ პირთა სამად აღრიცხვას განაპირობებს, მეორე მხრივ კი, ბუნების მიხედვით მათ სრულ განუსხვავებლობაზე, რაც აღნიშნული სამი ჰიპოსტასის ერთღმრთეობას წარმოაჩენს. აქ ბუნების მიხედვით „უცვლელობაზე“ არანაირი მსჯელობა არ შეიძლება იყოს, რადგან „უცვლელობის“ ნიშნით როდი იმიჯნება ბუნება და ჰიპოსტასი (ყოვლადწმინდა სამება ისევე უცვლელია ჰიპოსტასურად, როგორც ბუნებითად). ამიტომ გვაქვს ლათინურში ზედმიწევნით ზუსტი *distinguitur*.

4. „აღიწევინ“ – ბერძნ. ἀναβιβαι. კვლავ აღვნიშნავთ, რომ საქმე გვაქვს გამონათქვამის პირობითობასთან.

5. აქ მინიშნებულია „ფსალმუნთა“ შემდეგ მუხლზე (მოგვაქვს წმ. გიორგი მთაწმიდლის თარგმანი): „წვმოს ცოდვილთა ზედა მახე, ცეცხლი და წუნწება და სული ნიავექარისა – ნაწილი (ე. ი. ხვედრი, წილი, ე. ჭ.) სასუმელისა მათისა“ (ფს. 10.6; დამაბოლოებელი სიტყვები გიორგიმდელ რედაქციებში ამგვარია: „...რამეთუ ესე არს ნაწილი სასუმელისა მათისა“). წმ. კირილესგან მითითებული „სასმისი“ არის ლათინურშიც (*calix*), მაგრამ რატომღაც გამოტოვებულია რუსულში.

რომლებსაც სოდომურ ცოდვათა ჩადენა სჩვეოდათ. მაგრამ რომელმა უფალმა რომელი უფლისგან მოავლინა ცეცხლი და გადაბუგა სოდომელთა ქალაქები? ცხადია კი, რომ მამამ, ძის მიერ ყოველივეს მოქმედმა (რადგან სწორედ ძეა მისი ძალა და მკლავი), დიახ, მან აღასრულა ცეცხლის წვიმება სოდომელებზე. ამიტომ, რაჟამს უფალმა უფლის მიერ მოავლინა მათზე ცეცხლი, როგორღა არ არის მამა ძისგან, და კიდევ ძე მამისგან, განსხვავებული იმ მხრივ, რაც განთვისებულია მყოფობას უკავშირდება? მართლაც აქ იგულისხმება, ასე ვთქვათ, ერთისგან ერთი.

სხვა: წინასწარმეტყველური სულით აღძრული და მის მიერ სამომავლოთა წინასწარმცნობელი ნეტარი მეფსალმუნე ადამიანური მოდგმის გამოსხნის შესაძლებლობას სხვაგვარად არანაირად არ ფიქრობდა, თუ არა მხოლოდ ღვთის ძის გამოჩინების გზით, რომელსაც ძალუძდა ადვილად გარდაექმნა ყოველივე, რომლისადმიც კი ამას განიზრახავდა. სწორედ ამიტომ აღავლენდა ვედრებას წინასწარმეტყველი, რომ გამოგზავნილიყო ჩვენთან ძე, როგორც ნამდვილად ერთადერთი შემძლე იმისა, რომ გამოეხსნა ეშმაკეული ძალაუფლებისა და სიხარბის¹ ქვეშ მოქცეულები. ამიტომაც, თითქოსდა ღმერთსა და მამას ეუბნებოდა იგი: „გამოავლინე სინათლე შენი და ჭეშმარიტება შენი“ (ფს. 42.3), ხოლო თუ რომელი სინათლეა ეს და რომელი ჭეშმარიტება, ამის შესახებ ისმინე თვით ძისგან თქმული: „მე ვარ სინათლე და მე ვარ ჭეშმარიტება“ (იოანე 8.12; 14.6). ასე რომ, თუკი იგზავნება ჩვენთან სინათლე და ჭეშმარიტება მამისა, ესე იგი ძე, როგორღა არ არის იგი მისგან განსხვავებული იმ მხრივ, რაც განთვისებულია მყოფობას უკავშირდება (თუმცა კი ერთიც არის მასთანვე იმ მხრივ, რაც არსების იგივეობას შეეხება)? მართლაც, თუ ზოგიერთების აზრით ეს ასე არ არის და თუ ერთი და იგივეა მამა და ძე, ლოცვის სხვა სახე რად არ აღასრულა სულშემოსილმა² და რად არ აღმოთქვა: „მოდი ჩვენთან, ჰოი სინათლევ და ჭეშმარიტება“? ამიტომ, რადგან იგი ამბობს: „გამოავლინე“, ცხადი

1. „სიხარბე“ – ბერძნ. πλεονεξία. ეს ტერმინი, გარდა სიხარბისა, ნიშნავს აგრეთვე უპირატესობას, აღმატებულებას, სიჭარბეს და სხვა, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს მნიშვნელობებიც ნაკლებად გამოდგება იმ შესატყვისთა საფუძვლად, რაც ლათინურში და რუსულში გვაქვს. პირველი გვაწვდის ტერმინს *tyrannis* (ტირანია), ხოლო მეორეშია *жестокость*.

2. ე. ი. მეფსალმუნემ.

უნდა იყოს ამის შემდეგ, რომ სხვა ვინმედ უწყოდა მან გამომა-
ვლინებელი და სხვად – გამოვლინებული (თვით გამოვლინების სახე
ღვთის შესაფერისად უნდა იქნეს გააზრებული).

სხვა: ძის მიერ ყოველივეს შექმნას ამბობენ წმინდა ნაწერები,
– ხილულისას და უხილავისას, ცათა შინა და მიწაზე, – და ჩვენც,
ჭეშმარიტების თაყვანისმცემლები, რომლებსაც ამგვარად გვწამს
განსჯათა მართებულობის კვალობაზე, კეთილმსახურების დოგმატ-
თა შიგნითაც ვართ შესულნი. ამიტომ, გამოვიკვლიოთ გამონათქ-
ვამი: „ძის მიერ“, და გამოვიძიოთ, თუ რა გააზრება შემოაქვს მას
ჩვენთვის, თუმცა ის კი აშკარაა, რომ აღნიშნული გამონათქვამი
სხვა ვინმედ მოაზრებას გვაჯერებს შემქმნელისას და მოქმედისას,
ხოლო სხვა ვინმედ – იმისას, ვის მიერაც ყოველივე იმოქმედება.
მართლაც, ასე ვთქვათ აუცილებლობიდან გამომდინარე, ორი პირის
წარმოჩენას გულისხმობს ნათქვამი „ძის მიერ“, ან, თუ ეს ასე არ
არის, გვითხრან, რა სახით შეიძლება, რომ როდესაც რაიმეს ქმნაზეა
საუბარი, გამონათქვამი „ძის მიერ“ საკუთრივად და ჭეშმარიტად
გულისხმობდეს ერთს რიცხვითაც და თავისი რაოდენობითაც, ისე
რომ არავინ იყოს სხვა ვინმე მასთან თანამოაზრებული და თანამ-
სრბოლი. მაგრამ ვფიქრობ, რომ ამ მხრივ სრულიად მოუძღვრდე-
ბიან მოწინააღმდეგენი. ამიტომ, რადგან მამისგან ძის მიერ ყოვე-
ლივეს ქმნას თვით საღვთო ნაწერებიც ქადაგებენ და ჩვენც გვწამს
(ვფიქრობ, რომ – მათაც¹), მაშ, როგორღა არ არის აუცილებელი
იმის ფიქრი, რომ მამა გვაშობს განთვისებულად (ასე ვთქვათ,
თავით თვისით) და ძეც კიდევ – მსგავსადვე, თუმცა ეს როდი სპობს
წმინდა სამების ჭვრეტას არსების იგივეობაში.

1. ბერძნული ტექსტის გამოცემაში რატომღაც მხოლოდითი რიცხვია (მარ-
თებულია რუსული, სადაც მრავლობითი გვაქვს).

თავი მესამე

რომ ძე არის ბუნებითი ღმერთი და არანაირი სახით ნაკლები ან არამსგავსი მამისა

1.1. „და ღმერთი იყო „სიტყვა“

არ იყო იმის უმეცარი სულშემოსილი იოანე, რომ უკანასკნელ
ჯამს აღდგებოდნენ მავანნი, რომლებიც ბოროტად იმეტყველებდნენ
მხოლოდშობილის არსების წინააღმდეგ და უარყოფდნენ კიდევ
მათ გამომსყიდველ მეუფეს (2 პეტრ. 2.1), რადგან ასე ჩათვლიდნენ,
რომ სიტყვა, ჩენილი ღვთისა და მამისგან, არ იყო ბუნებით ღმერთი,
სანაცვლოდ კი ჩვენს წინაშე შემოიყვანდნენ ვინმე ცრუსა და
თვითმარქვიას, ძეობისა და ღმრთეების სახელით გარემოსილს, სი-
ნამდვილეში კი არა ამგვარს. რაღაც ამის მსგავსს მოქმედებენ
ისინიც, რომლებიც არიოზის იუდეველურ ურჯულოებას თავის
გონებაში შთაისახლებენ, რის გამოც მკედარი გულიდან აღმოთქვა-
მენ არა კეთილმსახურებითი ჭვრეტის ცხოველმყოფელ სწავლებას,
არამედ მხოლოდ იმას, რაც კი სიკვდილისკენ იხედება და გან-
იმზირება. ჭეშმარიტად „მომწყვლელი ისარია მათი ენა და მზა-
კვრულია მათი პირის სიტყვები“ (იერ. 9.8).

მაშ, წარმოვიდგინოთ, რომ ამგვართაგანი ვინმე, რომელიც უკვე
უპირისპირდება ჭეშმარიტების სიტყვებს, თითქოსდა ასე ეუბნება
წმინდა მახარებელს: იყო სიტყვა ღმერთთან, ჰოი კეთილო,¹ და იყოს
ასე, რადგან ვერწმუნები ამის შესახებ შენს ნაწერებს. დაე, მყოფობ-

1. სიტყვ. „ჰოი, შენ“, რაც ზემორე გაგებას შეიცავს (შდრ. ლათ. o bone).

დეს მამაც განთვისებულად და ძეც კიდევ – მსგავსადვე, მაგრამ მაინც რისი ფიქრი გვმართებს, ბუნებით ვინ უნდა იყოს სიტყვა? ღმერთთან ყოფნა ხომ ჯერაც უთუოდ არაფერს შეიცავს არსების გამაცხადებელს და რადგან ერთ ღმერთს ქადაგებენ საღვთო ნაწერები, განვუკუთვნოთ ეს ღმერთობა მხოლოდ მამას, რომელთანაც იყო სიტყვა!

მაშ, რაღას იტყვის ამაზე ქადაგი ჭეშმარიტებისა?

არა მხოლოდ იმას, რომ „იყო სიტყვა ღმერთთან“, არამედ იმასაც, რომ იგი იყო ღმერთიც, რათა, ერთი მხრივ, „ღმერთთან ყოფნა“ მამისგან მისი სხვად ყოფნის მაუწყებელი იყოს და სარწმუნოებო-ფელი იმისა, რომ განთვისებითად¹ და თავით თვისით ჰგიეს ძე, ხოლო, მეორე მხრივ, „ღმერთად ყოფნა“² ის გაგვიცნობიეროს, რომ ძე თანაარსია მამისა და მისგან მყოფობს ბუნებით, როგორც ღმერთი და ღვთისგან გამოსული, რადგან შეუძლებელია, რომ როდესაც ღმერთება ყველას მიერ აღიარებულია როგორც ერთი, წმინდა სამება ყოველითურთ არ აღიწოდეს³ ბუნების იგივეობამდე და ასევე არ აღიოდეს³ იგი ღმერთების ერთ აზრამდე.

ამრიგად, „იყო“ იგი ღმერთი, ესე იგი არათუ გვიან გახდა, არამედ ძველადვე⁴ იყო, და ეს თუნდაც იმიტომ, რომ ეჭვგარეშეა ღმერთად ყოფნას ყველაზე უფრო მეტად ეთანადება მარადიულად ყოფნა, რადგან დროში ქმნილი, ან კიდევ, სულაც არარსებობიდან არსებობაში შემოყვანილი, არ შეიძლება იყოს ბუნებით ღმერთი.

ამრიგად, რადგან გამონათქვამი „იყო“ ღვთის სიტყვის მარადიულობას ცხადყოფს, ხოლო გამონათქვამი „ღმერთი იყო“ – მამასთან მის თანაარსობას, რაოდენი სასჯელისა და დასჯის ღირსად წარმოჩნდებიან ისინი, რომლებიც ძეს რაღაცით დაკლებულად და მშობლისადმი არამსგავსად რაცხენ, თან არც ეგზომ ურჯულოებამდე მისვლას უფროსიან, რომ კადნიერად ჩაუბეჭდონ უკვე სხვებსაც

1. ბერძნ. ἰδὲ

2-3. ამჯერად რუსულ თარგმანშიც შენარჩუნებულია ორიგინალის ტერმინოლოგია: *восходила, возносила*.

4. „არამედ ძველადვე იყო“ – რუსულ თარგმანში ნაცვლად სიტყვისა „ძველადვე“ გვაქვს სრულიად მცდარი *опять (но опять был)*, რაც, ცხადია, უზუსტობაა კონტექსტის მიხედვითაც და ორიგინალის მონაცემითაც, სადაც გვხვდება ტერმინი *πάλαι* (ძველად, ძველთაგან). იგივეა ლათინურშიც: *olim*. რუსული თარგმანის ცთომილების მიზეზი ნათელია. მთარგმნელმა სიტყვა *πάλαι* ამოიკითხა (ან აღიქვა) როგორც *πάλιν* („კიდევ, კვლავ“).

ყოველივე ამგვარი, რამეთუ „არ უწყიან არც ის, რას ამბობენ, არც ის, ვის შესახებ ასაბუთებენ“ (1 ტიმ. 1.7). მართლაც, ის, რომ არაფრით არაა მამაზე ნაკლები მისგან მყოფი და ჭეშმარიტი ძე, ამას კვლავაც შევიცნობთ ქვემოდართული მსჯელობებიდან გამომდინარე.

სხვა: მრავალი და სხვადასხვა სახელით უწოდებენ ძეს საღვთო ნაწერები, რადგან ამბობენ, რომ იგია მამის სიბრძნე და ძალა, თანახმად პავლესგან თქმულისა: „ქრისტე – ღვთის ძალა და ღვთის სიბრძნე“ (1 კორ. 1.24). კიდევ, იგი ითქმის, აგრეთვე, მის სინათლედ და ჭეშმარიტებად, როგორც ფსალმუნებში უგალობს მას ერთ-ერთი წმინდანთაგანი: „გამოავლინე სინათლე შენი, და ჭეშმარიტება შენი“ (ფს. 42.3). ითქმის სიმაღლედაც, თანახმად ნათქვამისა: „შენს სიმაღლეში მაცხოვრე მე“ (ფს. 118.40), რადგან მამა სწორედ ქრისტეში ცხოველყოფს მისდამი მორწმუნეებს. იწოდება იგი, აგრეთვე, მამის განზრახვად, თანახმად ნათქვამისა: „შენი განზრახვით მიწინამძღვრე მე“ (ფს. 72.24), და კიდევ: „ხოლო განზრახვა უფლისა საუკუნოდ ჰგიეს“ (ფს. 32.11).

ამრიგად, რადგან სწორედ ძე არის ეს ყოველივე ღვთის და მამის მიმართ, გვითხრან ჩვენ, რომლებიც არიოზის ცთომილებას ეპირფერებიან და მისი უგუნურებით არიან აღსავსენი, როგორღა არის ძე მამაზე ნაკლები. მართლაც, დროა ვთქვათ, რომ თუ იმგვარადაა საქმე, როგორც ისინი ფიქრობენ, მაშ, არ ყოფილა მამა არც სრულიად ბრძენი, არც სრულიად ძლიერი, არც სრულიად სინათლე, არც სრულიად ჭეშმარიტება, არც სრულიად სამართლიანი, არცთუ განზრახვაში სრული, გამომდინარე იქიდან, რომ ძე, რომელიც არის ყოველივე ეს მამისადმი, ნაკლებობის გამო მართლაც არ წარმოჩნდებოდა სისრულის მქონედ. მაგრამ ამგვარად ფიქრი და თქმა ურჯულოებაა, მამა კი სრულია, რადგან მას ყოველივე სრულად აქვს თავის თავში; შესაბამისად, ცხადია, სრულია ძეც, რომელიც არის სიბრძნე, ძალა, სინათლე, ჭეშმარიტება, სიმაღლე და განზრახვა მამისა, ხოლო ის, ვინც საკუთარ მშობელში არსებულ სისრულეს ავსებს,¹ ვით შეიძლება გავიაზროთ როგორც ნაკლები?

1. რადგან ძე არის მამის სიბრძნე, ძალა, სინათლე, ჭეშმარიტება და ა. შ., ანუ ყოველივე ის, რაც მამის სისრულეა, შესაბამისად წმ. კირილე გვასწავლის, რომ მამისეული სისრულე აღსავსეა ძე ღმერთით ანუ, სახეობრივად, ძით სავსეობს მამისეული სისრულე, ძე „ავსებს“ მამისეულ სისრულეს. ეს თეოლოგიური

სხვა: თუ ჩვენ და წმინდა ანგელოზები თაყვანს ვცემთ იმ ძეს, რომელიც ნაკლებობის მქონეა ღვთისა და მამის მიმართ, მაშ, ორი ღმერთის მსახურებაში უნდა ვიმხილებოდეთ¹, გამომდინარე იქიდან, რომ ის, რომელიც არასრულია, ვერანაირად ვერ აღიწევა² ბუნების იგივეობამდე მისდამი, რომელსაც სისრულე აქვს, ხოლო მართლაც დიდია ის სხვაობა, ვიდრე უცხოობამდე³ რომ განკვეთს არაერთგვაროვნებს ბუნების ნიშნით. მაგრამ მრავალღმერთიანი რიცხვისადმი როდია რწმენა, არამედ ერთია ღმერთი და მამა, რომელთან ერთიანობამდეც აღიწევა ძე (და, ცხადია, სულიწმინდაც). შესაბამისად, არაფერია გასაკიცხი ძეში, რადგან როგორ მიიღებს ნაკლებობას ის, ვინც სრულ მამასთან არის ბუნებითად შეერთებული ვიდრე ერთიანობამდე⁴ და არსების იგივეობამდე?

სხვა: თუკი სავსება არის ძე, რადგან „მისი სისავსისგან მივიღეთ ჩვენ ყველამ“ (იოანე 1.16), რა სახით შეიწყნარებს იგი ნაკლებობას? მართლაც, ურთიერთშორის დაპირისპირებულნი შეუთავსებელნი არიან ერთ რამ საფუძველში ერთდროულად.

სხვა: თუ ყოველივეს ადავსებს ნაკლებობის მქონე ძე, სადღა თავსდება მამის მეტობა (ხოლო ვამბობთ ასე, უფრო სხეულებრივად⁵, ნიმუშის სახით, რადგან უსხეულოთა შორის სხვაგვარად გაიზარება აღმატებულობა და დაკლებულობა).

სახისმეტყველება (შდრ. ბერძნ. *πληρωμα*, ლათ. *implet*) მთლიანად წარმოადგენს რუსულში, სადაც შესატყვისად გვაქვს არა „ავსებს“, არამედ „წარმოადგენს“ (...представляет совершенство в своём родителе), რაც საკმაოდ ცვლის ორიგინალის არსს, რადგან ბერძნულში უწყებელია არა ის, რომ ძე „წარმოადგენს სისრულეს მშობელში“, არამედ ის, რომ „მშობელში [არსებულ] სისრულეს ავსებს ძე“.

1. შდრ. *ἀλαστέμεθα* (ლათ. *deprehendemur*). რუსული თარგმანი, როგორც ჩანს, ლათინურის პასივის ერთ-ერთ მნიშვნელობას ეყრდნობა და ასეთ შესატყვისს გვაწვდის: *окажемся*.

2. რუსული ამჯერად იცავს ორიგინალთან სიზუსტეს აღნიშნული ტერმინის მხრივ (*восходит*).

3. „ვიდრე უცხოობამდე“ – ე. ი. „სრულ გამოიჯნულობამდე“. შდრ. ბერძნ. *εἰς ἀλλοτριότητα* ეს სიტყვები რატომღაც გამოტოვებულია ლათინურში და, მის კვალობაზე, რუსულში.

4. ეს მონაკვეთი რუსულში არაზუსტია და მკითხველისთვის გაუგებარიც (*каким же образом Он может допустить меньшее до единства с совершенным Отцом, будучи...*). ლათინური თარგმანი მართებულია.

5. „უფრო სხეულებრივად“ – ე. ი. „უფრო მატერიალურად“, „მატერიალურ ენაზე“. ორიგინალში მხოლოდ ის აზრია, რომ არამატერიალურ მოვლენებზე

სხვა: თუ ღმერთი ყველა სახელზე უზემოესია, ხოლო ძეს, რომელიც მის შემკვიდრედ ჰგოეს, არა აქვს სრულმყოფობა ნაკლებობის გამო, დიდი არაფერი ყოფილა ეს ყოველთა უზემოესობა, რაც არის ღმერთი. მაგრამ ამის ფიქრი ან თქმა უმართებულოა. ამიტომ, სრულია ძე როგორც ყველა სახელზე უზემოესი და როგორც ღმერთი (ფილიპ. 2.9-10).

სხვა: თუ საღვთო ბუნება არ არის რაოდენობრივი, ხოლო ნაკლებობას, ჩვეულებრივ, ადგილი აქვს რაოდენობრივთა შორის, როგორ გაიზარება ნაკლებობის მქონედ ძე, რომელიც ბუნებით ღმერთად მყოფია? მართლაც, აღარ იქნება ძე რაოდენობის გარეთ, თუნდაც რომ მხოლოდ მამასთან შედარებით თქვან იგი ნაკლებობის მქონედ.

სხვა: ნეტარი იოანე ძის შესახებ ამბობს, რომ „ზომით არ აძლევს იგი სულს“ (იოანე 3.34), – არ აძლევს, ცხადია, ღირსეულთ. ამიტომ, როდესაც ძეში არ არის ზომა, ნათელია, რომ უზომოა იგი და, როგორც ღმერთი, აღემატება რაოდენობაში აღსაქმელ ყოველგვარ წვდომას.¹ შესაბამისად, როგორღა იქნება ნაკლები ის, რომელიც არ განიზომება?

სხვა: თუ ნაკლებია ძე, მამა კი – მეტი, ცხადია, რომ ისინი სხვადასხვაგვარად და თითოეულისათვის შესაფერისი ზომის მიხედ-

მატერიალური, ამქვეყნიური ენით პირდაპირი საუბარი არ შეიძლება, რის გამოც იძულებულნი ვართ ვიმეტყველოთ სახეობრივად, პარადიგმატულად (*ἐν παραδείγματι τοῦ πατρὸς*) ანუ გამოვიყენოთ მატერიალური, „სხეულებრივი“ გამონათქვამები მხოლოდ მინიშნების, სახეობრივი მაგალითის, ნიმუშის დახიშნულებით, რადგან ზეციური მოვლენები ყოვლითურთ აღემატება მიწიერს. აღნიშნულის სანაცვლოდ, რუსულ თარგმანში ის უცნაური აზრია ჩადებული, რომ თითქოს ასე უნდა ვილაპარაკოთ „სხეულებრივ საგნებთან მსგავსების გამო“ (ე. ი. რომ თითქოს ზეციური ჰგავს მიწიერს), თუმცა (როგორც ეს თარგმანშია აღნიშნული) უსხეულოთა მეტობა და ნაკლებობა სხვაგვარად გაიზარება (რუსული თარგმანის „თუმცა“ სრულიად მცდარია): (*Говорить так нужно по сродству с телесными предметами, в виде примера, хотя...*) თარგმანისეული *по сродству* ორიგინალში ცხადია შესატყვისს ვერ პოულობს (შდრ. *συνάπτει*). როგორც ჩანს, იგი მომდინარეობს ლათინური *quasi*-ს არასწორი გაგებიდან (ლათინური თარგმანი თუმცა ნაკლებტერმინოლოგიურია, მაგრამ აზრობრივად თანხვედრა ბერძნულს: „საჭირო იყო, რომ ნიმუშის სახით მათზე, როგორც თითქოსდა სხეულებრივ საგნებზე, ისე გვესაუბრა, რადგან უსხეულო საგანთა შორის სხვაგვარად გაიზარება სიდიდე და სიმცირე“).

1. „რაოდენობაში აღსაქმელ ყოველგვარ წვდომას“ – ე. ი. რაოდენობის ყოველგვარ გაგებას.

ვით იმოქმედებენ ჩვენს განწყობასთან დაკავშირებით და, ერთი მხრივ, უფრო მეტად უნდა განგვწყობდეს მამა, ხოლო უფრო ნაკლებად და თავისი თავის შესაბამისად – ძე. ასეთ შემთხვევაში სულიწმინდაც ორმაგი იქნებოდა, კერძოდ – უფრო ნაკლები ძეში, უფრო მეტი კი მამაში, რის გამოც, ერთი მხრივ, სრულად განიწმინდებოდნენ მამისაგანნი,¹ ხოლო, მეორე მხრივ, არასრულად – ძისაგანნი.² მაგრამ ამგვარი განსჯანი დიდად უმართებულოა, რადგან ერთია სულიწმინდა და ერთია სრული განწყობა, მამისგან ძის მიერ ბუნებითად მონიჭებული. ასე რომ, არ არის ნაკლები ის, ვისაც იგივეობრივი მოქმედება აქვს სრულ მამასთან და ვისაც აქვს მშობლის სული, რომელიც არის თავისი ბუნებით ისევე კეთილი, ცხოველი და გვამოვანი, როგორიც, რა თქმა უნდა, მამა.

სხვა: თუ „მამის ხატებაში და თანასწორობაში“ მყოფობდა ძე, თანახმად პავლეს სიტყვისა (ფილიპ. 2.6), როგორღა არის იგი მასზე ნაკლები? მართლაც, უეჭველია, რომ არც ხორციელი განგებულების³ საქმე⁴ (და ამის გამო თქმული სიმდაბლე⁵) არ განაშიშვლებს ძეს მისთვის ბუნებითად ნიშანდობლივი ღირსებისგან, რადგან ამ სიმდაბლეს დასასრულად ექნება ზეციდან მეორედ მოსვლა⁶. მართლაც, უთუოდ „მოვა“, როგორც გვსმენია მისგანვე ნათქვამი, „თავისი მამის დიდებაში“ (მარკ. 8.38). ამიტომ, საერთოდ როგორ იქნება „მამის დიდებაში“ ის, ვინც ნაკლებია მასზე?

სხვა: ერთგან ღმერთი და მამა წარმოჩნდება შემდეგის მოქმედებად ერთ-ერთი წინასწარმეტყველის მიერ: „დიდებას ჩემსას სხვას არ მივცემ“ (ეს. 48.11). ამიტომ, იმათ, რომლებიც უღვთოდ შეურაცხყოფენ ძეს, უფრო კი მის მიერ მამასაც, რადგან „ძის უპატიოყოფელი არც მამას სცემს პატივს“ (იოანე 5.23), ეს უნდა ვკითხოთ: ძე,

1. „მამისაგანნი“ – ე. ი. მამისგან განწყობილები.
2. „ძისაგანნი“ – ე. ი. ძისგან განწყობილები.
3. „ხორციელი განგებულება“ – ე. ი. განკაცება, ხორცშესხმა (შდრ. ლათ. incarnatio).
4. ბერძნულში შესატყვისია λόγος, რომლის შინაარსი მოცემულ კონტექსტში კარგადაა გაგებული რუსი მთარგმნელის მიერ (дело).
5. განკაცება არის კაცთა გონებისათვის მიუწვდომელი წესით გამოვლენილი სიმდაბლე ანუ თავის დადაბლება ღვთისა.
6. ე. ი. მაცხოვრის მოსვლა სიმდაბლეში და შეურაცხებაში ღრობითა, რადგან მეორედ მოსვლისას მამის დიდებით გამობრწყინდება იგი, რაც ბუნებითა მისთვის.

რომელიც, თქვენი აზრით, ნაკლებია ღმერთსა და მამაზე, თანაარსია მამისა თუ არა? თუ იტყვიან, რომ თანაარსია, მაშ, ფუჭად რად განუკუთვნებენ მას სინაკლულეს? მართლაც, იმათ, რომლებიც ერთი და იმავე არსებისა და ბუნებისანი არიან რაგვარმყოფობის ნიშნით,¹ საერთოდ არ შეიძლება ჰქონდეთ თავისი თავის მიმართ მეტობა, და საძიებელიც სწორედ ესაა.² მაგრამ ისინი, ალბათ, არ დათანხმდებიან ამას და არც მამასთან ძის (როგორც, მათი აზრით, უფრო ნაკლების) თანაარსობას დაუშვებენ, რის გამოც ძე აღმოჩნდება მამისგან სრულიად განსხვავებული და უცხო, ასეთ შემთხვევაში კი, როგორღა ექნება მას მამისეული დიდება? მართლაც, როგორც ამბობს ნეტარი დანიელი, „მას მიეცა პატივი და მეუფება“ (დან. 7.14). ასე რომ, ან ცრუობს ღმერთი და მამა, როდესაც ამბობს: „დიდებას ჩემსას სხვას არ მივცემ“ (ეს. 48.11), ანდა, თუ ეს ჭეშმარიტია და, ამასთან, სწორედ ძეს მისცა მან თავისი დიდება, არ ყოფილა, მაშ, იგი მისგან განსხვავებული, ჰგიეს რა მისი არსების ნაყოფად³ და საკუთარ⁴ ნაშობად. მაგრამ ვინც ბუნების ნიშნით ამგვარია მამისადმი, მართლაც როგორღა იქნება მასზე ნაკლები?

სხვა მარტივი და გაუერთიანებელი განსჯანი

თუ ყოვლისმპყრობელია მამა და ყოვლისმპყრობელია, მსგავსადვე, ძეც, როგორღა არის იგი მასზე ნაკლები? მართლაც, კანონზომიერე-

1. „რაგვარმყოფობის ნიშნით“ – ე. ი. იმის მიხედვით, თუ როგორ მყოფობს, რა სახით არსებობს (ვინმე, რაიმე), იმ მხრივ, რაც ვინმეს (რაიმეს) არსებობის რაობას შეადგენს.

2. იგულისხმება, რომ სწორედ ამის დადგენაა ძიების საგანი ანუ საძიებელი (კერძოდ, დადგენა იმისა, რომ ერთი ბუნების მქონეებს არ შეიძლება ჰქონდეთ ურთიერთისადმი მეტ-ნაკლებობა იმ მხრივ, რაც მათი არსებობის რაობას შეადგენს).

3. ტერმინი „ნაყოფი“ (καρπός, რუს. плод), ცხადია, ოდენ სახეობრივია და მიანიშნებს ძის და მამის ერთარსებაზე (ისევე როგორც ერთარსია ნაყოფი თავის აღმომაცენებელთან).

4. „საკუთარი“ – შდრ. ბერძნ. γνήσιος, რაც ძველ ქართულში ძირითადად ითარგმნებოდა როგორც „საკუთარი“ ან „განკუთვნილი“ (აგრეთვე, როგორც „გულსმოდგინე“, „განჩემებული“, „ერთგული“, „რჩეული“ და სხვა. იხ. ე. ჭელიძე, ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია, გვ. 601-602).

5. „გაუერთიანებელი“ – შდრ. ბერძნ. ἀσυνδετα, ლათ. inconnexa (შდრ. რუს. отрывочные)

ბის წესიდან გამომდინარე, არასრული უფუოდ ვერ აღიწევა სრულის საზომამდე.

კიდევ, თუ უფალია მამა და უფალია, მსგავსადვე, ძეც, როგორღა არის იგი მასზე ნაკლები? მართლაც, არასრულად იქნებოდა იგი თავისუფალი, ნაკლები რომ ყოფილიყო უფლებრივობაში და სისავსით რომ არ ჰქონოდა ღირსება თავის თავში.

კიდევ, თუ სინათლეა მამა და სინათლეა, მსგავსადვე, ძეც, როგორღა არის იგი მასზე ნაკლები? მართლაც, არასრული სინათლე იქნებოდა იგი და ნაწილობრივ შეიპყრობდა კიდევ მას სიბნელე, რის გამოც სიცრუე აღმოჩნდებოდა მახარებლისგან თქმული: „სიბნელემ იგი ვერ შეიპყრო“ (იოანე 1.5).

კიდევ, თუ სიცოცხლეა მამა და სიცოცხლეა, მსგავსადვე, ძეც, როგორღა არის იგი მასზე ნაკლები? მართლაც, არ იქნებოდა სრულად სიცოცხლე ჩვენში (თუნდაც რომ შინაგან კაცში დამკვიდრებულიყო ქრისტე) და რაღაც ნაწილით როგორღაც მკვდრები იქნებოდნენ მორწმუნეები, თუკი ძე, როგორც ნაკლებობის მქონე, არ იქნებოდა სრული სიცოცხლე. ამიტომ, რადგან გვმართებს, რომ ამგვარი უგუნურება რაც შეიძლება შორს უკუვაგდოთ, შესაბამისად ვამბობთ, რომ სრულია ძე, რომელიც შეთანასწორებულია სრულ მამასთან არსების უცვალებლობის გამო.

სხვა: თუ ძე ნაკლებია მამაზე და, ამის გამო, არც თანაარსია მისი, მაშ ბუნებით სრულიად სხვა და უცხო ყოფილა იგი. შესაბამისად, აღარ ყოფილა იგი არც ძე და არც ღმერთი, რადგან მამისგან არმყოფი როგორღა იქნებოდა ძედ წოდებული ანდა როგორღა იქნებოდა იგი კვლავაც ღმერთი, თუ არ იქნებოდა ღმერთისგან ბუნებით? რაღას იტყვიან ამაზე ისინი, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მამისადმი სწამთ არა იმათ, რომლებსაც მიღებული აქვთ რწმენა ძისადმი, არამედ უმაღლეს იმათ, რომლებმაც მოაკვდინეს იგი? ასე რომ, რადგან ჩვენ სწორედ ძისადმი გვაქვს რწმენა, ამის გამო, როგორც ჩანს, მათთვის კვლავაც ვცდებით, ვერ შეგვიცვნიან რა ჭეშმარიტი ღმერთი. მაგრამ ეს უგუნურებაა, რადგან გვწამს რა ძისადმი, გვწამს მამისადმიც და, ცხადია, სულიწმინდისადმიც. ამრიგად, ძე, როგორც თითქოსდა ნაკლები, არ არის უცხო ღვთისა და მამისგან, არამედ ერთია იგი მასთან, რადგან მისგანვეა ბუნებითად და ამის გამო თანასწორიცაა მისი და სრულიც.

სხვა: თუ ძე არის მამაღმერთისგან ჭეშმარიტად აღმობრწყინებული ღმერთი-სიტყვა, სრულად აუცილებელია, რომ მოწინააღმდე-

გეებმაც ძალაუვნებურად აღიარონ, რომ მამის არსებისგან ჰგიეს იგი, რადგან ამას ნიშნავს ჭეშმარიტი ძეობა. მაგრამ თუ ეს ასეა, როგორღა არის ამგვარი ძე მამაზე ნაკლები, თუკი სწორედ იგია არსების ნაყოფი, – არსებისა, რომელიც არანაირად არ შეიწყნარებს ნაკლებობას თავის თავში, რადგან ყოველივე სისრულითაა ღმერთში? ამრიგად, თუ იგი არ არის მამის არსებისგან, მაშ აღარც ძეა, არამედ არის როგორც ვინმე თაღლითი და ცრუ. მაგრამ ასეთ შემთხვევაში თვით მამაც აღარ იქნებოდა სამართლიანად და ჭეშმარიტად წოდებული მამად, რადგან თუ არ იქნებოდა ბუნებითი ძე, რომლის გამოც არის იგი მამა, როგორღა იქნებოდა თვითვე მამად გააზრებული? მაგრამ ეს უგუნურებაა, მამა კი არის ჭეშმარიტი ღმერთი, რადგან ამას ღაღადებენ საღვთო ნაწერები. შესაბამისად, უთუოდ ძეა ის, ვინც მისგანაა ბუნებით. ხოლო თუ ეს ასეა, აღარ ყოფილა ძე ნაკლები, რადგან, როგორც ძე, თანაარსია იგი მამისა.

სხვა: მამობის ანდა მამობრიობის სახელი ჩვენგან როდი აქვს ღმერთს, არამედ, უმაღლეს, მისგან ვიღებთ ამას და ვიხილვებით მამად, რადგან სარწმუნოა პავლეს სიტყვა, რომელიც ასე ხმობს: „ვისგანაც წოდებულია ყველა მამობა ცაშიც და მიწაზეც“ (ეფეს. 3.15). ამიტომ, რადგან ღმერთი ყოველთა უხუცესია,¹ ცხადია მიბაძვითად ვართ მამები ჩვენ, რომლებიც მისი სახისადმი ხატად ქმნილობის გამო² ვიწოდებით ასე. გარდა ამისა, მითხარი, მართლაც როგორღა უნდა ვიყოთ ჩვენ, რომლებიც მისი მსგავსებისებრ შევიქმენით, ბუნებითად მამები საკუთარი შვილებისა, თუ ამგვარი რამ არ ეთვისება არქექტიპულ ხატს,³ რომლისადმიც ვართ დასახულები? საერთოდ

1. „უხუცესია“ – ე. ი. უწინარესია (შდრ. ბერძნ. *πρεσβυτατος*, რაც ითარგმნებოდა როგორც „უხუცესი“, რადგან *πρεσβυτηρ* ანუ „პრესბიტერი“ ქართულად გადმოიწერებოდა ტერმინით „ხუცესი“.

2. „მისი სახისადმი ხატად ქმნილობის გამო“ – შდრ. *πρὸς τὸ εἶκόν* *σχημα δὲ τοῦ πατρὸς κατ' εἰκόνα*. ფრაზა „მისი სახისადმი“ გამოტოვებულია ლათინურში და, მის კვალობაზე, რუსულშიც, რის გამოც აღნიშნულ თარგმანებში ორიგინალის რთული ტერმინოლოგიის გამარტივებულ სახეს ვიღებთ. კერძოდ, ლათინურში მთელი კონტექსტი სიტყვა-სიტყვით ასეა თარგმნილი: „რადგან ღმერთი არის ყოველთა უძველესი რამ, გარკვეული მიბაძვითა და მსგავსებით ვიწოდებით მამებად ჩვენ, რომლებიც მისი ხატისადმი ვართ შექმნილები“. ზედმიწევნით ამგვარია რუსული თარგმანიც.

3. „არქექტიპული ხატი“ – ἡ ἀρχέτυπος εἰκὼν (იგულისხმება საღვთო ბუნება) ადამიანისადმი ღვთის არქექტიპულობის ანუ პირმშობატობის შესახებ იხ. ე. ჭელიძე, მართლმადიდებლური ხატმეტყველება, თბ. 2001; იხ. აგრეთვე, ე. ჭელიძე, ადამიანი – ხატი პირმშობატისა, თბ. 1995.

როგორ შეიძლება იფიქროს ვინმემ, რომ მამობის ანდა მამობრიობის სახელი სხვებზეც¹ გადადის ღვთისგან, თუ იგი სინამდვილეში არ არის მამა? მართლაც, ეს რომ ასე ყოფილიყო, მოვლენის ბუნება ყოვლითურთ გამრუდებული გამოჩნდებოდა და უმაღლესი ჩვენ ვიქნებოდით მისთვის მამად წოდების მიმცემნი (ჩვენდამი მისი მსგავსების შესაბამისად), ვიდრე იგი – ჩვენთვის (მართლაც, ეს მსჯელობა თვით მწვალებელსაც კი აიძულებს, რომ ძალაუბრებურად დაგვეთანხმოს). გამომდინარე აქედან, სიცრუე უთქვამს ჭეშმარიტების მოწამეს, რომელიც სწორედ მისგან ამბობს ყველა მამობის არსებობას ცაშიც და მიწაზეც. მაგრამ ამის თქმა ყველაზე უფრო უზგუნურესია, რადგან ჭეშმარიტებს ის, ვინც გაბედულად თქვა: „ნუთუ მტკიცებულებას ეძიებთ ჩემში მეტყველი ქრისტესას?“ (2 კორ. 13.3). ამრიგად, მამობის სახელი ღვთისგან ჩვენამდეც ჩამოიღვრება.² ამიტომ, ბუნებითად არის იგი მამა სიტყვისა, რომელიც შვა მან, უთუოდ არა უმსგავსი მისდამი, – უმსგავსი თითქოსდა იმ მხრივ, რომ ძეს ნაკლებად ჰქონდეს რაიმე იმათგან, რომელთაგანაც³ ჰგოეს მამა, – რადგან ჩვენც კი, რომლებიც შექმნილები ვართ მისდამი მიბაძვითად,⁴ ჩვენი თავისგან ნაშობნი თუმცა ამგვარად არ გვყავს, მაგრამ ბუნების ნიშნით ისინი სავსებით თანასწორნი არიან ჩვენთან.

სხვა: ნუ ისიბრძნებს⁵ ჭეშმარიტებას სიტყვამჭევრი მწვალებელი, ნურც ლიტონსა და მხოლოდღა სიტყვიერ პატივს მიაგებს იგი მისგანვე ძედ აღიარებულ სიტყვას ღვთისას იმის თქმით, რომ არ არის იგი მამისეული არსებისგან. მართლაც, საერთოდ როგორღაა

1. „სხვებზეც“ – εἰς τοὺς ἄλλους შდრ. ლათ. ad alios. რუსულ თარგმანში რატომღაც გვაქვს на всех (და არა на других), რაც არაზუსტია.

2. „ჩამოიღვრება“ – შდრ. καταρρίπει. ორიგინალის სახეობრიობა შენარჩუნებულია ლათინურში (defluit), მაგრამ წარმოადგენს რუსულში: переходит.

3. „რომელთაგანაც“ – ე. ი. რა თვისებებისგანაც, რა ღირსებებისგანაც.

4. „მისდამი მიბაძვითად“ – πρὸς μίμησιν... ἐκείνου (ბერძნული μίμησις ქართულად ტერმინოლოგიურად ითარგმნებოდა როგორც „ბაძვად“, ხოლო ὁμοίωσις – როგორც „მსგავსებად“, რაც შენარჩუნებული გვაქვს წინამდებარე თარგმანში). ლათინური იცავს ტერმინოლოგიურ სიზუსტეს: ad imitationem (და არა ad similitudinem) ejus. რუსულში ეს სიზუსტე შენარჩუნებული არ არის: по подобию Его.

5. „ნუ ისიბრძნებს“ – ე. ი. ნუ ისოფისტებს (ძველ ქართულში „სოფისტი“ გადმოიციმდებოდა ტერმინით „მესიბრძნე“, ხოლო „სოფისტობა“ – „მესიბრძნეობა“).

იგი ძე, თუკი არ არის ბუნებით ამგვარი? ამიტომ, ან შემოიძარცვონ მათ ფარისევლობის ნილაბი და აშკარად დაგმონ იგი, როდესაც არც ღმერთად და არც ძედ არ აღიარებენ მას, ანდა თუკი ისინი მთელი საღვთო წერილისგან იმხილებიან და წმინდანთა სიტყვებით განიშურდებიან,¹ რის გამოც ერცხვინებათ მათ ჭეშმარიტებისა და ამიტომაც ამბობენ, რომ არის იგი ძეც და ღმერთიც, მაშნულად ისაზრებენ მის შესახებ, თითქოს ნაკლებია იგი თავის მშობელზე. მართლაც, საერთოდ როგორღა განიკუთვნებს ნაკლებობას მამადმერთთან მიმართებით ის, ვინც არის ღმერთად მყოფი სიტყვა? და თუმცა იგი იწოდება და არის კიდევ ადამიანი, ადამიანის ძე,² მამაზე ნაკლები როდი უნდა იყოს ადამიანად ყოფნის გამო. მართლაც, არ შეიძლება, რომ ადამიანი, როგორც ადამიანი, ადამიანზე ან მეტი იყოს ან ნაკლები, არც, ალბათ, ანგელოზი – ანგელოზზე, როგორც ანგელოზი, არცთუ სხვა რომელიმე არსთაგანი – ყველა იმდაგვარზე, რაც კი მასთან თანაბრებითია და წილხვედრი იმავე არსების წესისა. ამრიგად, თუკი იგი ჭეშმარიტად ძეა, აუცილებელია ითქვას, რომ მამის არსებისგანაა, ბუნებითად ატარებს რა თავის თავში ყოველივეს, რაც კი მამისთვის თვისობრივია. ამიტომ, თუ მამა არის ბუნებით ღმერთი, ცხადია, ბუნებითად ღმერთია მისგან შობილი სიტყვაც. მაშ, როგორღა შეიძლება, რომ ღმერთი ღმერთზე ნაკლები იყოს, მაშინ როცა ერთი და იგივეა ეს ღმერთად ყოფნა.

1. „განიშურდებიან“ – ე. ი. განიგმირებიან (თითქოსდა შურდულით). ბერძნული σφαιρίζω-ს („შურდულის“) ზმნური ფორმა წმ. ეფრემ მცირის (და სხვა ელინოფილთა) მიერ ითარგმნებოდა როგორც „განიშურდვა“.

2. „და თუმცა იგი იწოდება და არის კიდევ ადამიანი, ადამიანის ძე“ – ბერძნულში ფორმალურად გვერდიგვერდ მოთავსებული „ადამიანი, ადამიანის“ რუს მთარგმნელს სინტაგმად მიუჩნევია, მაშინ როცა მეორე სიტყვა „ადამიანის“ საზღვრულად გულისხმობს სიტყვას „ძე“, რაც ბერძნული სინტაქსისთვის დამახასიათებელი წესით (მსაზღვრელ-საზღვრულის გათიშვა ჩანართი სიტყვებით) ბოლოშია გადატანილი. ყოველივე ამის ვერგაგებად რუსულში მოგვცა სრულიად აზრსმოკლებული ტექსტი: И хотя Он называется и человеком человека и есть Сын. ჯერ ერთი, გამონათქვამი „человек человека“ არასოდეს უწოდებიათ განკაცებული ძისთვის, მეორეც თუ იგი „ძეა“ (და არა „ადამიანის ძე“ ანუ „ძე კაცისა“), მაშინ სადღაა პრობლემა? ამასთან, ერთიმეორისგან დაცილება ორი ზმნისა (называется и есть), რაც ბერძნულში განუყოფელია, ყოვლად გაუმართლებელია. მართებული თარგმანის შემთხვევაში რუსულში უნდა გვქონოდა: И хотя Он называется и есть Человек, Сын человека. (ბერძნულის ზედმიწევნით თანმხვედრია ლათინური).

სხვა: საიდანღა გაქვთ, ჰოი თქვენ, კადნიერება იმისა თქვით, რომ ნაკლებთა შორის¹ მდებარეობს ძე იმათთან² შედარებით, რომელთა შორისაც³ ჰგოეს მისი მშობელი?⁴ ან კი რა სახით არის იგი ნაკლებობის მიმღები? ვფიქრობ, რომ არსებობის ჟამით არავინ დაუშვებს ამას, თუნდაც რომ მეტისმეტად ყბელი იყოს ვინმე, რადგან წინასაუკუნოა ძე, და თვითვეა საუკუნეთა შემოქმედი; ამასთან, ჯეროვნად უნდა ვაცნობიერებდეთ, რომ საერთოდ შეუძლებელია ჟამით შემოისაზღვროს ის, რაც ყოველ ჟამზე უხუცესი შობის მქონეა. არცთუ სიდიდის შესაბამისი რაოდენობრიობით არის ძე მამაზე ნაკლები, რადგან უსიდიდოდ,⁵ ურაოდენოდ⁶ და უსხეულოდ მოიაზრება და არის კიდევ ამგვარი საღვთო ბუნება. მაშ, რის მიხედვით უნდა წარმოიჩინდეს ნაკლებობა შობილში? დიდების მიხედვით, შესაძლოა ბოლოს თქვას ვინმემ, კიდევ ძალით და სიბრძნით. მაგრამ გვითხრან, მაშ, რაოდენია და რა სიდიდისა ამ მხრივ მამა (თუ საჭიროა ამისი თქმაც), რომ შემდეგ მასთან თანაშეზომით მოვიაზროთ ძე როგორც ნაკლები. ანკიდევ, თუკი მამა მიუწვდომელ და განუზომელ სიკეთეთა შორის ჰგოეს, რაც დიდად ზეაღურბის⁷ ჩვენეული გონების საზომს, მაშ საიდანღა ამბობენ ძეს ნაკლებობის მქონედ არიანელები (რომლებიც მზადყოფნაში არიან ყოველივეს საკადრებლად), რათა ამით დაამხოთ მისთვის ბუნებითად თვისობრივი ღირსება? მართლაც, სწორედ უმეტესთან შეპირისპირებით იმხილება უნაკლულის და თუ მამისეული ღირსება განზომადი არ არის, რაღა გვექნება ნაკლებობის სამხილად ძეში?

სხვა: უწმინდურ მწვალებელთა სიბილწის გამო ნამდვილად

1. „ნაკლებთა შორის“ – ე. ი. ნაკლებ ღირსებათა (თვისებათა) შორის.
2. „იმათთან“ – ე. ი. იმ თვისებებთან, იმ ღირსებებთან.
3. „რომელთა შორისაც“ – ე. ი. რომელ თვისებათა (ღირსებათა) შორისაც.
4. მთელი ეს წინადადება („ნაკლებთა შორის... მშობელი“), რაც სიტყვა-სიტყვითი გადმოტანაა ორიგინალისა, რუსულში უაღრესად შეგვეცოცხლა: **Сын меньше, чем Родивший Его.**
5. „უსიდიდოდ“ – ე. ი. სიდიდის არმქონედ (**ἀμεγέθης**). შდრ. ლათ. **magnitudinis.... expers.** რუსული თარგმანი არაზუსტია: **безмерный по величине.** მართლაც, საღვთო ბუნება განუზომელი სიდიდისა კი არ არის, არამედ საერთოდ არმქონე არანაირი სიდიდისა (ტერმინი „უსიდიდოდ“ დადასტურებულია ძველ ქართულში).

6. „ურაოდენოდ“ – ე. ი. რაოდენობის არმქონედ.

7. „ზეაღურბის“ – ე. ი. აღემატება (**ἀνατρέχουσι**).

საჭიროა ვთქვათ და ვიჭეშმარიტოთ: „უგუნურნია ჩვენი მტრები“ (მეორე სჯ. 32.31). მართლაც, როგორღა არ უნდა იყვნენ ისინი ყოველგვარი უსწავლელობით აღსავსენი, როდესაც „არ უწყიან არც ის, რას ამბობენ, არც ის, ვის შესახებ ასაბუთებენ“ (1 ტიმ. 1.7), როგორც ამბობს პავლე. ხოლო თუ რის გამო უნდა გაიკიცხონ ისინი, ეს, ჩემი აზრით, შემდეგია: თუკი ამბობენ, და სწამთ ასე, რომ ძე არის ღმერთი, ჭეშმარიტად შობილი მამაღმერთისგან, როგორღა არის იგი მამაზე ნაკლები? მართლაც, განსჯათა მეტისმეტი უგუნურება წარმოიშვება აქედან, ყოველმხრივ მგმობელობის მქონე, რომლის მხოლოდღა სმენასაც კი განერიდება ვინმე, რადგან თუკი ბუნებით ღმერთად მყოფი ძე საერთოდ მიმღებია, თუნდაც რაიმეთი, ნაკლებობისა, მაშინ აუცილებელი იქნებოდა გვეთქვა, რომ არის რაღაც ღმერთზე უფრო მეტი. შესაბამისად, არც მამის არსება იქნებოდა მოაზრებული ყოველმხრივი სისრულის მქონედ, თუმცა კი ბუნებით ღმერთად ჰგოეს იგი, არამედ ისიც როგორღაც უფრო მეტისკენ უნდა ყოფილიყო წარმატებადი. ამიტომ, მხილებული იქნებოდა მამა ძისგან, როგორც ხატისგან, რომ თვით ისიც ნაკლებობის მიმღები არსებისაა, რაც ქმნის შესაძლებლობას, რომ მამაც ნაკლებობის მატარებელი გახდეს, თუნდაც რომ ჯერ კიდევ არ ატარებდეს ამას¹ (რადგან რაიმეს შეთვისების შემძლე უთუოდ შეითვისებს კიდევ მას, რისი შემთვისებელიცაა, და როდესაც ჟამი უხმობს ამის განცდისკენ,² არ განერიდება), მაგრამ მეტისმეტი რამ მგმობელობა ჩანს ამ

1. „რაც ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ მამაც ნაკლებობის მატარებელი გახდეს, თუნდაც რომ ჯერ კიდევ არ ატარებდეს ამას“ – იგულისხმება, რომ თუკი ძე, როგორც ბუნებითი ღმერთი და მამისეული არსების მქონე, ნაკლოვანების მატარებელია, მაშ მამაც, იმავე არსებისა და ბუნების მქონე, პოტენციურად შეიცავს ნაკლოვანების ტარების (ანუ ნაკლოვანად გახდომის) შესაძლებლობას. ბერძნული ტექსტი სიტყვა-სიტყვით ამგვარია: „იქნება რა ამის (ნაკლებობის) მატარებელი პოტენციურად (**δυσάμει**), თუნდაც რომ ჯერ არ ეტარებინოს იგი“. ზედმიწევნით თანმხვედრია ლათინური: **hoc autem potentia** (ეს სიტყვა აქ არის არა სახელობითში, არამედ აბლატივში და ნიშნავს: „პოტენციურად“) **feret, licet adhuc non tulerit.** რაც შეეხება რუსულ თარგმანს, იგი აბსოლუტურად მცდარია და სრულიად გაუგებარი (რადგან მთარგმნელს ბერძნული **δυσάμει** გაუგია „ძალიად“ და არა „შესაძლებლობად“): **Таковое окажется по отношению к силе, хотя бы еще и не случилось** (აუხსენია, რას უნდა ნიშნავდეს **и не случилось**).

2. „განცდა“ – ამ ტერმინით უმრავლეს შემთხვევაში ვთარგმნით ბერძნულ **πάθος, πάσχα (παθείν)**-ს.

მხრივ. მართლაც, არც უმეტესისკენ წარმატება რამენაირად მამა, არცთუ ნაკლებობის მიმდებარა იგი, რადგან ღმერთია ბუნებით. ამიტომ, არც ძე შეიწყნარებს თავის თავში ნაკლებობას, არის რა ისიც ბუნებით ღმერთი, რადგან, სხვაგვარად, საკუთრივ ყოველთა უზემოესი არსების გამოად წარმოჩნდებოდა მწვალებელთაგან უმეცრულად მოგონილი გამონათქვამი.

სხვა: თუ ღვთისა და მამის ძედ ბუნებითად მყოფი მამისაგანი სიტყვა ნაკლებია მამაზე, ვთქვათ, ღვთისშესაფერისი ღირსების ნიშნით ანდა ბუნებითი უცვალებლობის არმქონეობის გამო ან კიდევ ნაკლულევანებისთვის ნიშანდობლივი რამ სახით, ეს იქნებოდა არა იმდენად საკუთრივ ძის გამოა, რამდენადაც იმ არსებისა, რომლისგანაც გვწამს, რომ არსებობს იგი, რადგან ასეთ შემთხვევაში სწორედ მამა წარმოჩნდებოდა როგორც წარმომშობი იმისა, რაც მასთან შედარებით ნაკლებია ან უდარესი, მაშინ როცა თვით დაბადებული და ქმნილი არსებაც კი არ დაითმენს ამგვარის განცდას, შობს რა ყოველი მათგანი, რომელიც კი ნაყოფთმშობელია, ყოვლითურთ მსგავსს¹ თავისი თავისადმი. ამიტომ, თუკი ყოველგვარ განცდაზე მაღლა მდებარედ² ამბობენ საღვთო ბუნებას მამისას, მაშ, ზემორე გაკიცხვისგანაც შორს უნდა იყოს იგი და, როგორც პირველხატი³ ჩვენეული სიკეთეებისა, უნდა შობდეს არა ნაკლებობის მქონე ძეს, არამედ – თანასწორსა და თანაარსს, რომ ღმერთი, ესოდენ ჩვენზე უზემოესი, არ წარმოჩნდეს ჩვენზე უდარესიც კი.

სხვა: უგუნურობისკენ წარმართვის გზით.⁴

ღვთისა და მამის თანასწორად თავისი თავის გამაცხადებელი ქრისტე ერთგან ასე ეუბნება საკუთარ მოწაფეებს: „ჩემმა მხილ-

ველმა იხილა ჩემი მამა“ (იოანე 14.9). მაშ, როგორღა უნდა ჰქონდეს ნაკლებობა (თანახმად მავანთა უგუნურობისა) მას, ვინც ჭეშმარიტებს და ამტკიცებს, რომ ამდაგვარია იგი ბუნებით და რომ იმ სახით არსებობს, რა სახითაც მამა? მართლაც, თუკი ძე, რომელიც თავის თავში განაცხადებს მამას, ნაკლებობის მქონეა, მაშ, შესაბამისად იმისა, რომ მათ შორის არ არსებობს არავითარი განსხვავება,¹ თვით მამამდეც უნდა აღიწეოდეს ეს ნაკლებობა, ჩენილი ძეში ვითარცა გაუმრუდებელ ხატში. მაგრამ ამგვარი რამ უგუნურობაა. ამრიგად, არ არის ნაკლები ძე, რომელშიც ხატოვნობს² სისრულის მქონე მამა.

სხვა: როგორ მიიღებს ძე ნაკლებობას იმათთან შედარებით, რომელთა შორისაც³ ჰგოეს მამა, ამბობს რა განუკიცხველად:⁴ „ყოველივე, რაოდენიც აქვს მამას, ჩემი არის“ (იოანე 16.15). და კიდევ, სწორედ ღვთისა და მამის მიმართ: „ჩემნი ყოველნივე შენნია და შენნი – ჩემნი“ (იოანე 17.10)? მართლაც, თუკი, თანახმად მავანთა უგუნულისხმოებისა, ნამდვილად ნაკლებია ძე, თანაც თუ უთუოდ ჭეშმარიტებს იგი, როდესაც ამბობს მამისადმი: „ჩემნი შენნია და შენნი – ჩემნი“, ცხადია, მამაზეც უნდა გადავიდეს ნაკლებობა და მსგავსადვე – მეტობა ძეზე. მართლაც, განუსხვავებელია საქმეთა წესი, თუკი თითოეულში ჩანს ის, რაც თვისობრივია მეორისთვის და თუ ის, რაც მამისა უნდა იყოს, არის ძისა, ისევე როგორც პირიქით, რაც საკუთრივი უნდა ჩანდეს ძისთვის, არის მამისა. ამრიგად, არაფერი შეუშლის ხელს ვთქვათ, რომ მამა არის ნაკლები ძეზე და ძე არის მეტი მამაზე, მაგრამ ამგვარის გაუიქრება კი უკიდურესი უგუნურობაა. მაშ, თანასწორია და არა ნაკლები ის, ვისაც მამასთან ზიარი ღირსეულობანი⁵ აქვს არსებისა.

სხვა: მისგანვე.

თუ ყოველივე, რაც კი აქვს მამას, არის ეს ყველაფერი ძისაც, მაშინ რადგან არის მამაში სისრულე, სრული უნდა იყოს ძეც, რომელსაც აქვს მამის თვისებები და ღირსებები.⁶ ამრიგად, არ არის

1. „შობს... ყოველითურთ მსგავსს“ – ტერმინი „ყოველითურთ“ ბერძნულში წარმოდგენილია ზმნიზედით *παντας*, რაც სწორედ ამ მნიშვნელობას შეიცავს (ყოველითურთ, ყოველგვარად, სავსებით, სრულიად, უთუოდ). იგივეა ლათინური *propterea*, მაშინ როცა რუსული *всегда* მეტად მცდარია (*всегда рождает подобное*). უნდა ყოფილიყო ამგვარი ტექსტი: (*рождает всячески подобное*).

2. „მაღლა მდებარედ“ – ე. ი. აღმატებულად (რუსულში, ლათინურისგან განსხვავებით, შენარჩუნებულია ორიგინალის სახეობრივი გამონათქვამი: *лежит выше*).

3. პირველხატი – *ἀρχέτυπος* (აღნიშნული ტერმინის ქართულად თარგმნის შესახებ იხ. ე. ჭელიძე, მართლმადიდებლური ხატმეცნიერება, თბ. 2001, გვ. 37-42).

4. იგულისხმება, რომ წმ. კირილე კვლავ განაგრძობს უგუნურობა არგუმენტების კვალში მიყოლას, რომ მათი აბსურდულობა აჩვენოს.

1. იგულისხმება არსობრივი განსხვავება.

2. „ხატოვნობს“ – *εικονίζεται*.

3. „რომელთა შორისაც“ – ე. ი. რომელ ღირსებათა (თვისებათა) შორისაც.

4. შდრ. *ἀνεγκλήτως*.

5. „ღირსეულობანი“ – *πλεονεκτήματα* (შდრ. *praerogativas*).

6. „მამის თვისებები და ღირსებები“ – სიტყვ. „მამისთვის თვისობრივნი და გამორჩეულნი“.

იგი ნაკლები, როგორც ამას ურჯულოებენ მწვალებლები.

სხვა: უგუნურობისკენ წარმართვის გზით, სილოგიზმის თანაშეროვით.

გვითხრან ჩვენ, რომლებიც უშრეტ ალს შეუგზნებენ საკუთარ თავს როგორც, ერთი მხრივ, საღვთო დოგმატთა მართებულობის უარყოფელნი, მეორე მხრივ კი ნაირგვარი სილოგიზმების სვეულობათა მომგონნი უწრფელესთა შესაცდენად და დასაღუპად, – გვითხრან მათ, არის თუ არა მამა, ვითარცა მეტობის მქონე, უმჯობესი ძეზე, ვითარცა ნაკლებზე (როგორც ამას მავანნი ყბედობით ამბობენ). ვფიქრობ, უთუოდ გვეტყვიან, რომ უმჯობესია. მაგრამ მაშინ გვითხრან, თუ რა უნდა იყოს ის ზედმეტი, რაც მეტობის მქონე მამაში¹ იქნება შესამჩნევი, გარდა იმისა, რომ უმჯობესია იგი. მართლაც, თუ საერთოდ არაფერია ამგვარი, მაშ უკვე გაუქმებულია ძისადმი ყველა ბრალდება, ხოლო თუ ბევრი რამაა განმასხვავებელი, მაშ მართლაც უმჯობესი ყოფილა მამა როგორც მეტობის მქონე, მაგრამ მაშინ ეს გვიპასუხონ და გვასწავლონ ჩვენ, თუ ნამდვილად ბრძენნი არიან: ძის შობისას, რატომ უნდა ეშვა მამას არა თავისი თავისადმი თანასწორი, არამედ თავისზე ნაკლები? მართლაც, თუ უმჯობესად ის გამოჩნდებოდა, რომ ყოვლითურთ თავისი თავისადმი თანასწორი ძე ეშვა მას, ვინლა დააბრკოლებდა ამის აღსასრულებლად? თუკი, აუცილებლობიდან გამომდინარე, მართლაც იქნებოდა რაიმე დაბაბრკოლებელი, მაშინ ძალაუფლებურად ისიც უნდა აღიარებულიყო, რომ არსებობს რამ მამაზე მეტი. მაგრამ თუ საერთოდ არაფერია დაბაბრკოლებელი და, მიუხედავად ამისა, მამა, რომელიც ძალაუფლებას ფლობს, თანაც უწყის, რომ უკეთესია თანასწორი შვას, მაინც თავისზე ნაკლების მოსურნეობას იჩენს, მაშ, შური და ღვარძლი ყოფილა მასში, რადგან არ ნებაავს, რომ თანასწორი უბოძოს ძეს. ასე რომ, ან მოუძღვრებულა შობისას მამა ანდა მოშურნე ყოფილა იგი, თანახმად სილოგიზმების შედეგად შეჯერებული მსჯელობისა, თუ ძეს, მათი სიტყვისებრ, ნაკლებობა აქვს. მაგრამ ეს უგუნურობაა, რადგან საღვთო და უბიწო ბუნება უზემოესია ყოველგვარ ვნებაზე. ამრიგად, არ არის ძე ნაკლები (რათა არ დაკარგოს მან თანასწორობა), რადგან არც მამაა უძლური რაიმე სახით, რომ თანასწორად შვას ის, ვინც მისგანაა, არც, რა თქმა უნდა, მოშურნეობა აბრკოლებს მას, რომ უკეთესი ინებოს.

1. სიტყვ. „მეტობის მქონედ მამის წოდებულობაში“.

სხვა: თვით მაცხოვარი ამბობს ერთგან, რომ იგი მამაში არის¹ და მამაც, მსგავსადვე, მასში (იოანე 10.38). მაგრამ მეტ-ნაკლებად² ყველასთვის ცხადია, რომ ისე კი არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს დატყვენილია ძეში მამა, ან, პირიქით, ძეა მოთავსებული მამაში როგორც სხეული სხეულში ანდა ჭურჭელი ჭურჭელში, არამედ ძე ჩანს მამაში და მამა – ძეში როგორც არსების უცვალებელ იგივეობაში და ბუნებისეულ ერთობასა და მსგავსებაში. მაგალითისათვის, ზემორე სიტყვებისებრ იტყოდა და იტყეშმარიტებდა ვინმე, რომელიც გამო-სახულებაში საკუთარი შესახედაობის³ დანახვისას, გაკვირვებული დარჩებოდა რა თავისი აღნაგობისადმი⁴ უმწვერვალესად ნახელოვნები⁵ მიმსგავსების გამო, ასე აღმოთქვამდა: „ამ დახატულობაში ვარ მე და ეს დახატულობა არის ჩემში.“ ან კიდევ, სხვა მაგალითისებრ, ასევე შეიძლებოდა ეთქვა თავისი თავის შესახებ თავლში არსებულ სიტკბოების თვისებას, ენა რომ ჩადგმოდა მას: „მე თავლში ვარ და თავლი ჩემშია.“ კიდევ, მსგავსადვე, შეიძლებოდა, რომ ცეცხლისგან ბუნებითად გამოცემულ სიმხურვალეს ხმა გაეღო და ეთქვა: „მე ცეცხლში ვარ და ცეცხლი კი – ჩემში.“ მართლაც, აღნიშნულთაგან თითოეული როგორღაც განყოფილია აზრისმიერად, მაგრამ ისინი ერთნი არიან ბუნებით; ამასთან, ერთი ერთისგან წინმიმდრეკელობს⁶ დაუნაწილებელი რამ და განუყოფელი წინსვლით, ისე რომ, გამიჯნულადაც წარმოჩნდება იმისგან, რაშიც მყოფობს. ამრიგად, თუმცა ეს სახე აქვს ამათ შესახებ განსჯილთა აზრს, მაგრამ ერთიმეორეში ჩანან ისინი და ორივე მათგანი იგივეობრივია იმ მხრივ, რაც არსებას შეეხება.

1. „არის“ – კირილესათვის ნიშანდობლივად ბერძნულში ოპტატივია εἶναι.

2. აქ ეს მნიშვნელობა აქვს ბერძნულ ποσ-ს.

3. „შესახედაობად“ ვთარგმნით ბერძნულ „μορφῆς“, რაც ამ შინაარსსაც შეიცავს და ძველ ქართულად ცალკეულ შემთხვევებში ითარგმნებოდა როგორც „შესახედავი“ (იხ. ე. ჭელიძე, აღამიანი – ხატი პირმშობისა, თბ. 1995 წ.).

4. „აღნაგობად“ აქ ვთარგმნით ბერძნულ σχῆμα-ს.

5. „ნახელოვნები“ – ἐγγιστάτης (ზმნიდან: ἐγγιστῆς – ოსტატურად, დიდი დახელოვნებით დამუშავება).

6. „წინმიმდრეკელობს“ – προκρίπτω (სიტყვ. „წინგადახრა“).

ამრიგად, თუკი არსების უცვალებლობისა და ხატოვნებაში სრული გაუმრუდებლობის¹ გამო მამა არის ძეში, როგორღა შეიძლება, რომ მეტობის მქონე ნაკლებობის მქონე ძეში (როგორც ისინი ფიქრობენ) დაიტეოდეს და იხილვებოდეს? ამიტომ, რადგან მამა მთლიანად არის მასში, მაშ უთუოდ სრული არის ძე როგორც სრულის დამტეველი და როგორც ხატოვნება დიდი მამისა.

1. „გაუმრუდებლობა“ — παραπληροια (გადაუკეთებლობა, გაუყვალბებლობა). რუსულში, ლათინურის კვალობაზე, ტერმინოლოგიური უზუსტობა გვაქვს: подобие (შდრ. ლათ. similitudo). იხ. აგრეთვე, ზემოთ, გვ. 28, შენ. 3.